



კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს  
სელნაფერტი ეროვნული ცენტრი

KORNELI KEKELIDZE GEORGIAN  
NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS

თბილისი • TBILISI

2023

# M RAVALTAVI

Philological and Historical  
Researches

*Published since 1971*

29

ქართული  
რეალთაუი

ფილოლოგიურ-ისტორიული  
ძიებანი

გამოდის 1971 წლიდან

„მრავალთავის“ 29-ე ტომში წარმოდგენილია ფილოლოგიურ-კოდიკოლოგიური და წყაროთმცოდნეობით-ისტორიული ხასიათის ნარკვევები, რომლებიც ეძღვნება ქართული მწერლობის, ისტორიისა და კულტურის საკითხებს, აგრეთვე, 2022 წლის ქრონიკა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მიერ და ცენტრის მეცნიერ თანამშრომლების მონაწილეობით ჩატარებული კონფერენციების, სემინარების, გამოფენების, ექსპედიციამივლინებების შესახებ. მკითხველი ასევე გაეცნობა ინფორმაციას ცენტრის მიერ 2022 წელს გამოცემული წიგნების შესახებ.

## **სარედაქციო კოლეჯია**

ნათია დუნდუა (პასუხისმგებელი მდივანი), დარეჯან კლდიაშვილი, აპოლონ თაბუაშვილი, მაია მაჭავარიანი, ნინო მელიქიშვილი (მთავარი რედაქტორი), თამარ ოთხმეზური, მაია რაფავა, მზია სურგულაძე, დალი ჩიტუნაშვილი.

იოსტ გიპერტი (ჰამბურგის უნივერსიტეტი), ჰუბერტ კაუფჰოლდი (მიუნხენის ლუდვიგ მაქსიმილიანის უნივერსიტეტი), ბერნარ კული (ლუვენის კათოლიკური უნივერსიტეტი), ოლივერ რაისნერი (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი), ბერნარ უტიე (სამეცნიერო კვლევის ფრანგული ნაციონალური ცენტრი), თინათინ ქრონცი (მაინცის გუტენბერგის სახელობის უნივერსიტეტი), გაგა შურღაია (ნეაპოლის უნივერსიტეტი “L’Orientale”), ნინო ცხომელიძე (ჯონს ჰოპკინზის უნივერსიტეტი).

**ტომის რედაქტორები:** მაია მაჭავარიანი, დარეჯან კლდიაშვილი.

## **EDITORIAL BOARD**

Dali Chitunashvili, Natia Dundua (executive secretary), Darejan Kldiashvili, Maia Matchavariani, Nino Melikishvili (editor-in-chief), Thamar Otkhmezuri, Maia Raphava, Mzia Surguladze, Apolon Tabuashvili.

Jost Gippert (Universität Hamburg), Hubert Kaufhold (Ludwig-Maximilians-Universität München), Bernard Coulie (Université Catholique de Louvain), Oliver Reisner (Iliia State University), Bernard Outtier (French National Centre for Scientific Research), Tinatin Chronz (Johannes Gutenberg-Universität Mainz), Gaga Shurghaia (University of Naples “L’Orientale”), Nino Zchomelidze (Johns Hopkins University).

**Editors of the volume:** Maia Matchavariani, Darejan Kldiashvili.

ISSN 0234-7385 („მრავალთავი“)

© კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 2023

## შინაარსი

ობარ ოთხმეზური	
ფიგურალური გამოთქმა – კანონი ილისტიკისა – ეგრემ მცირის თარგმანებში (არეოპაგიტული კორპუსი და გრიგოლ ღვთისმეტყველის ლიტურგიკულ საკითხავთა კრებული)	10
ნინო მელიქიშვილი	
წმ. ეფთვიმე ათონელის „ღვთისმშობლის ცხოვრების“ ქართული თარგმანის ბერძნული წყაროს შესახებ	26
ემვთიმე კოჭლამაზაშვილი	
ეფთვიმე მთაწმიდელის ერთი უცნობი თარგმანი	53
ნუზარ პაპუაშვილი	
ახალციხის მეჩეთი და მისი ბიბლიოთეკა პავლე სანკოვსკის სტატიის კვლადაკვალ	73
ლაშა ტყეშელაშვილი	
ევაგრე პონტოელის შრომათა ძველი ქართული თარგმანები (წინათონური) და მათ შორის ერთი უცნობი შეგონება „ცუდაღბუაობისათვის“	109
ოქრო ჯოჯო	
ძველი გაფაზის თავწმინდა გიორგის ეკლესიის 1026 წლის საღმრთოწმებლო წარწერა კახეთ-პერეთის მეფეების – კვირიკე III დიდისა და საჰლას მოხსენიებით	128
ცისანა ბიბილიაშვილი	
სახლი ბეთანიაში (ბარონ ალ. ნიკოლაის წერილების მიხედვით)	164
EKA KVIRKVELIA, MARIAM KAMARAULI	
A preliminary analysis of the Georgian Palimpsest Paris, BnF, géorg. 5 with Multispectral Imaging	175
WALKER R. THOMPSON	
Marian Hymnography in the Georgian Jerusalem Tropologion	205

მავდა მჟედლიძე

იოანე პეტრიწის ვრცელი ბიბლიოგრაფია 2021 წლამდე 233

ინფორმაცია

ქრონიკა 2022 257

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის 2022 წლის გამოცემები 263

IN MEMORIAM

ზაზა ალექსიძის გახსენება 271

ეთერ ქავთარაძე (1937-2023) 279

## CONTENTS

### THAMAR OTKHMEZURI

- Figurative Expression – A Rule of Ilistiki – in the Collection of Gregory the Theologian’s Liturgical Sermons and the Corpus Areopagiticus Translated by Ephrem Mtsire 10

### NINO MELIKISHVILI

- On the Greek Source of the Georgian Translation of the “Life of the Virgin Mary” by St. Euthymius the Hagiorite (based on the research of Michel Van Esbroeck and Christos Simelidis) 26

### EKVTIME KOCHLAMAZASHVILI

- A Previously Unknown Translation by Euthymius the Hagiorite 53

### NUGZAR PAPUASHVILI

- Akhaltsikhe Mosque and Its Library: Following Pavel Sankovski’s Article 73

### LASHA TKEBUCHAVA

- Old-Georgian (Pre-Athonite) Translations of the Works of Evagrius Ponticus and Among Them One Unknown Admonition “De Vana Gloria” 109

### TEMO JOJUA

- The 1026-year-old Construction Inscription of the Church of St. George of Old Gavazi, Mentioning the Kings of Kakheti-Hereti – Kvirike III the Great and Sahla 128

### TSISANA BIBILEISHVILI

- The House in Bethania (Based on the Letters of Baron Al. Nikolai) 164

### EKA KVIRKVELIA, MARIAM KAMARAULI

- A preliminary analysis of the Georgian Palimpsest Paris, BnF, géorg. 5 with Multispectral Imaging 175

### WALKER R. THOMPSON

- Marian Hymnography in the Georgian Jerusalem Tropologion 205

### MAGDA MCHEDLIDZE

- An Extensive Bibliography of Ioane Petritsi up to 2021 233

### INFORMATION

- Chronicle – 2022 257  
Publications of the National Center of Manuscripts – 2022 263

IN MEMORIAM

Remembering Zaza Aleksidze  
Eter Kavtaradze (1937-2023)

271

279

## ხელნაწერთა ძირითადი საცავები საქართველოში

### შემოკლებები

პიპმ	სერგი მაკალათიას სახელობის გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი
სცსპ	საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივი (საქართველოს ეროვნული არქივი)
სიპმ	სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)
სპიმ	ივანე ჯავახიშვილის სახელობის სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმი (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)
ქიპმ	ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი
ხმ	შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების ეროვნული მუზეუმი (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)
ხეც	ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (ყოფილი კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი)
ზიამ	ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმი
NCM	National Centre of Manuscripts

**წმ. ეფთვიმე ათონელის „ღვთისმშობლის  
ცხოვრების“ ქართული თარგმანის ბერძნული  
წყაროს შესახებ  
(მიშელ ვან ესბროკისა და ქრისტოს სიმელიდის კვლევებზე  
დაყრდნობით)**

წინამდებარე სტატიაში შევეცდებით წარმოვადგინოთ ორი განსხვავებული მოსაზრება წმ. ეფთვიმე ათონელის მიერ თარგმნილი „ღვთისმშობლის ცხოვრების“ ბერძნული წყაროს შესახებ. ამ ტექსტის არსებობა, რომლის ბერძნული დედანი დღესდღეობით არ არსებობს, ცნობილი გახდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც 1986 წელს ის გამოიცა ბელგიელი მეცნიერის, მიშელ ვან ესბროკის მიერ.<sup>1</sup> თარგმანზე დართულ კოლოფონში მთარგმნელად ეფთვიმე ათონელი არის დასახელებული,<sup>2</sup> ხოლო სათაურში ტექსტის ავტორად მითითებულია წმ. მაქსიმე აღმსარებელი.<sup>3</sup>

ბერძენმა მკვლევარმა, ქრისტოს სიმელიდისმა, საკითხს, თუ რეალურად რომელი ავტორის თხზულება თარგმნა ეფთვიმე ათონელმა, ვრცელი წერილი მიუძღვნა: „ყოვლადწმიდა ქალწულის ორი ცხოვრება – იოანე გეომეტრი, ეფთვიმე ათონელი და მაქსიმე აღმსარებელი“.<sup>4</sup> მისი თქმით, გამომხაურება ინფორმაციაზე მაქსიმე აღმსარებლის ავტორობის შესახებ,

<sup>1</sup> Esbroeck (ed.), *Vie de la Vierge*.

<sup>2</sup> „ქრისტე, მეუფეო დიდებისაო, მეოხებითა მშობელისა შენისა, წმიდისა ქალწულისა მარიამისითა, შეიწყალე და აცხოვნე სულითა გლახაკი ეფთვიმე, რომელმან წმიდაჲ ესე წიგნი, ცხორებაჲ წმიდისა ღმრთისმშობელისა, ბერძელისაგან ქართულად თარგმანა წმიდასა მთასა ათონას,“ ხეც A-40, 282r (X საუკუნის ის უადრესი ხელნაწერი, რომელიც შეიცავს ამ თარგმანს).

<sup>3</sup> „ქებაჲ და დიდებაჲ, შესხმაჲ და გალობაჲ ყოვლადწმიდისა, უხრწნელისა და უმეტესად კურთხეულისა დედუფლისა ჩუენისა ღმრთისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისი და უწყებაჲ უბიწოჲსა მის და სანატრელისა მოქალაქობისა მისისაჲ შობითგან მიცვალებადმდე, აღწერილი ნეტარისა მამისა ჩუენისა მაქსიმეს მიერ, ფილოსოფოსისა და აღმსარებელისა“, ხეც A-40, 1r.

<sup>4</sup> Simelidis, “Two Lives”, pp. 125-159.

იყო „მისი ერთგულებით მიღებიდან სიჩუმემდე და რადიკალურ უარყოფამდე“.<sup>5</sup> პირველი, რაც დასაწყისშივე გვსურს აღვნიშნოთ, არის შემდეგი: **ქრისტოს სიმელიდისი არ თვლის დასაბუთებულად, რომ ქართული თარგმანი მაქსიმე აღმსარებლის „ღვთისმშობლის ცხოვრების“ დაკარგული ბერძნული თხზულების თარგმანია.**<sup>6</sup> მისი აზრით, გასარკვევია, ხელნაწერის სათაურში ტექსტის ავტორობას მაქსიმეს ეფთვიმე ათონელი მიაწერს, თუ რომელიმე გვიანდელი გადამწერი. ის გამოთქვამს ვარაუდს, რომ ეფთვიმეს მამოძრავებელი მოტივი ავტორად მაქსიმეს გამოცხადებისა, შესაძლებელია, ყოფილიყო სურვილი, ამ დიდი ავტორიტეტის მქონე საეკლესიო მამის სახელის გამოყენებით, ხელი შეეწყო თავისი თარგმანის პოპულარიზაციისა და ფართოდ გავრცელებისათვის. მაქსიმესათვის ამ ტექსტის არასწორად მიკუთვნება, სიმელიდისის თქმით, არ იყო გამონაკლისი – ეფთვიმეს თარგმანთა შორის ვხვდებით სხვა ავტორთა ტექსტებსაც, რომლებიც, ასევე, მაქსიმეს სახელს ატარებენ.<sup>7</sup> ის კიდევ ერთ ვარაუდს გამოთქვამს ბერძნული დედნის თაობაზე: არ არის გამორიცხული, რომ ეფთვიმემ, გამოიყენა რა ადრინდელი არაანონიმური ტექსტის გადამუშავებული ვერსიის შექმნის მეტაფრასული მეთოდი, **ჩათვალა, რომ მის მიერ ტექსტში შეტანილი ცვლილებების შემდეგ არ იყო აუცილებელი, თხზულება კვლავ მისი ავტორისათვის (სიმელიდისის ვარაუდით, – იოანე გეომეტრისათვის) მიეკუთვნებინა, რომლის სახელიც არაფერს ეუბნებოდა ქართველ მკითხველს.**<sup>8</sup>

<sup>5</sup> იქვე, გვ. 125.

<sup>6</sup> აქ და ქვემოთ ყველგან, ჩვენ მიერ საზგასმულ ადგილებს ვამუქებთ – აღვნიშნავთ ე.წ. ბოლდით, ხოლო ბრჭყალებში მოტანილ ციტატებს – კურსივით (იტალიკით).

<sup>7</sup> Simelidis, “Two Lives”, p. 129. ქართველ მეცნიერთა მიერ, მართლაც, მიკვლეულია ეფთვიმე ათონელის რამდენიმე თარგმანი, რომელიც აქამდე მაქსიმეს სახელით იყო ცნობილი, კერძოდ: კოჭლამაზაშვილი, „წმ. მაქსიმე აღმსარებლის სახელით“; ტყეუბუჩავა, „წმინდა მაქსიმე აღმსარებლის სახელით“; ტყეუბუჩავა, „წმ. ექვთიმე ათონელის მიერ თარგმნილი“; ხოფერია, „მაქსიმე აღმსარებლის ცხოვრების“; Chantladze, “Euthymius the Athonite’s Translation”; Otkhmezouri, “Maximus the Confessor’s”. ვფიქრობთ, ამ ფაქტის არსებობა ვერ იქნება არგუმენტი, რომ დამატებითი, საფუძვლიანი კვლევის გარეშე ეჭვის ქვეშ დავაყენოთ ეფთვიმეს მიერ მართლაც მაქსიმეს რომელიმე თხზულების თარგმნის შესაძლებლობა.

<sup>8</sup> Simelidis, “Two Lives”, pp. 128-129. სტატიის ამ მონაკვეთში ქრისტოს სიმელიდისი ვრცლად საუბრობს, ზოგადად, ეფთვიმეს მთარგმნელობით მეთოდზე, იმაზე, რომ ამ მეთოდისა და, კიდევ, იმის გამო, რომ ეს დიდი ათონელი მამა იყო „არაჩვეულებრივი განათლებისა და ნიჭის ადამიანი,

ქრისტოს სიმელიდისი იოანე გეომეტრს მიაწერს იმ ბერძნული წყაროს ავტორობას, რომელიც თარგმნა ეფთვიმე ათონელმა. ბერძენი მკვლევარი იოანე გეომეტრს ახასიათებს როგორც „X საუკუნის ბოლო პერიოდის ცნობილ მწერარს, მიზანდების დიფერაფურის ისტორიაში ყველაზე საინტერესო პიროვნებას”.<sup>9</sup> მისი სახელით მოღწეულია ღვთისმშობლის ცხოვრების ამსახველი ტექსტი,<sup>10</sup> რომელსაც ქრისტოს სიმელიდისი, თავისი ვერსიის დასასაბუთებლად, აანალიზებს ეფთვიმე ათონელის „ღვთისმშობლის ცხოვრების“ ქართულ თარგმანთან მიმართებით, ქართველ და უცხოელ მკვლევართა ნაშრომების გათვალისწინებით.

მიშელ ვან ესბროკმა მის მიერ გამოცემული ეფთვიმესეული ქართული ტექსტი თარგმნა ფრანგულად და მას, შესავლის სახით, წაუძღვარა გამოკვლევა.<sup>11</sup> ესბროკის აზრით, „ორი ცექსტის პარაღერურობა არასაკმარისია იმისათვის, რომ ვიფიქროთ ერთის მეორე ცექსტზე დამოკიდებულებაზე, ... თუ შევძლებთ დავამტკიცოთ, რომ მას ხედავს ჰქონდა თუნდაც იოანე გეომეტრის ცექსტი, რჩება შესაძლებლობა, რომ ორივე მათგანს ერთი მოდელით ესარგებდა. .... შეიძლება ამოვკრიბოთ რიგი საკითხები, რომელთა დამთხვევაც ერთ დასკვნამდე მიგვიყვანს: იოანე გეომეტრმა გადააკეთა<sup>12</sup> ცექსტი, რომელიც ექვთიმემ თარგმნა ქართულად“.<sup>13</sup>

ტექსტებს შორის არსებულ კავშირს ქრისტოს სიმელიდისი სხვაგვარ ახსნას უძებნის: ის სკეპტიკურად უდგება საკითხს იოანე გეომეტრის მიერ მაქსიმეს თხზულების, როგორც ერთ-ერთი წყაროს, გამოყენების შესახებ; მისი აზრით, **კავშირი ქართულ თარგმანსა და გეომეტრის ტექსტს შორის არ უნდა გახდეს დაბრკოლება საიმისოდ, რომ გეომეტრი ვალიართ როგორც ავტორი მისი სახელით მოღწეული „ღვთისმშობლის ცხოვრებისა“.**

სიმელიდისი იმოწმებს მოზრდილ მონაკვეთს გეომეტრის მიერ თავის თხზულებაზე დართული წინასიტყვიდან; ითვალისწინებს და ეყრდნობა რა ამ უკანასკნელის შეფასებას მის მიერ გაწეული საკუთარი შრომისა,

---

... მას შეეძლო გადამუშავების გზით მაღალი ღირებულების თხზულების შექმნა“. მაგალითისათვის ქრისტოს სიმელიდისი ახახელებს შუა საუკუნეების ერთ-ერთ ბესტსელერს, „ვარლაამ და იოდასაფს“ – ბუდას ცხოვრების გაქრისტიანებული ვერსიის ქართულიდან ბერძნულ ენაზე შესრულებულ ეფთვიმესეულ თარგმანს.

<sup>9</sup> Simelidis, “Two Lives”, p. 130.

<sup>10</sup> ტექსტი გამოცემულია: John Geometres, *Life of the Virgin Mary*.

<sup>11</sup> Esbroeck, *Vie de la Vierge*, Introduction, pp. V-XXXVIII.

<sup>12</sup> ესბროკი იყენებს სიტყვას: “remanic”, ხოლო სიმელიდისი – “redrafted”.

<sup>13</sup> Esbroeck, *Vie de la Vierge*, p. XX.

ასაბუთებს თეზას გეომეტრის ავტორობის შესახებ. აი, ეს ტექსტი:

*„ამ საკითხებთან მჭიდრო შეხებით მე ვადმოვცემ, სადაც ეს შესაძლებელი იქნება, იმას, რაც გონივრულია ჩვენი სადღესასწაულო შეკრებისათვის და რასაც მოვიძიებ ისინი, ვინც ისტორიაში ჩაღრმავებისაკენ ისწრაფვის, აგრეთვე, მივართმევ მადლიერების ჩვენს ძღვენს ყოველდღიურად ქაღალდს, რომელიც არის ღვთისმშობელი და ყოველთა დედოფალი. მიუხედავად იმისა, რომ მე ვიღებ ვადღებულებას, დავწერო ამდენი ავტორის შემდეგ, ეს არ არის დასაგმობი, არამედ იმსახურებს წახადისებას, რადგან ჩემი სურვილი არ ჩამოუვარდება ჩემი წინამორბედებისას. შესაძლოა, ეს თამამი გამონათქვამი იყოს – მან, ვინც ამდენი ავტორის შემდეგ ცდილობს, ასეთ ღვაწლს შეუდგეს, აუცილებლად უნდა თქვას ყველაფერი, რაც მათ თქვას და დაუმატოს კიდევ უფრო მეტი. მე ამგვარად შევავროვე მასადა, რაც წავიკითხე არა მხოლოდ მახარებლებთან და წინასწარმეფველებთან, არამედ აპოკრიფურ ნაშრომებშიც, რადგან ისინი ეთანხმებიან და მისდევენ მახარებლებს, წინასწარმეფველებსა და დიდ, შთაგონებულ მამებსა და მასწავლებლებს; ამას ნებისმიერი მიუკერძოებელი მსმენელი და მცოდნე ადვილად მიხვდება“.*<sup>14</sup>

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს წინასიტყვა უქმნის სიმელიდის საფუძველს, კიდევ უფრო მყარად გამოთქვას აზრი გეომეტრის ავტორობის შესახებ; ის აღნიშნავს, რომ გეომეტრმა მოახდინა ღვთისმშობლის ცხოვრების თემზე არსებული ვრცელი ლიტერატურის სისტემატიზაცია და, საკუთარი აზრების ჩართვით, კიდევ უფრო სრულყოფილი ნაშრომი შექმნა. ამასთან, სიმელიდის ამტკიცებს, რომ ამ მასალის გამოყენება არ იყო პლაგიატი, არამედ მეტაფრასული მეთოდი, რომელიც სრულიად დასაშვები იყო სვიმეონ მეტაფრასტისა და ნიკიფორე ურანოსის ეპოქაში. ბერძენი მკვლევარი იმასაც დასძენს, რომ იმ ეპოქაში ბიზანტიაში პატრისტიკული ავტორების კოპირება მისაღებად იყო მიჩნეული.<sup>15</sup>

ქრისტოს სიმელიდის თავის წერილში რამდენიმეჯერ უსვამს ხაზს, რომ იოანე გეომეტრს *„არ გადაუშუშავებია ამჟამად დაკარგული ის ბერძნული დედანი, რომლის არსებობაც სრულიად დაუდასტურებელია“*,<sup>16</sup> რომ *„გეომეტრის ‘ღვთისმშობლის ცხოვრება’ არის მისი საკუთარი თხზულება – ის იყენებდა და ამუშავებდა მრავალ წყაროს შემოქმედებითი გზით“*<sup>17</sup> და, იმ წყაროების კვალდაკვალ, გეომეტრის მიერ თხზულებაში შეტანილია მნიშვნელოვანი

<sup>14</sup> Simelidis, “Two Lives”, p. 118.

<sup>15</sup> იქვე, გვ. 126-127.

<sup>16</sup> იქვე, გვ. 127 (სიმელიდისი გულისხმობს მაქსიმე აღმსარებლის დაკარგულ, ჰიპოთეტურ ტექსტს).

<sup>17</sup> იქვე, გვ. 128.

წვლილი – ეს ჩანს განსახილველ ტექსტში იმ აზრებისა და სახეების გამეორებაში, რაც დასტურდება ამ ავტორის სხვა თხზულებებში.<sup>18</sup>

გეომეტრის ხელწერა, სიმელიდისის აზრით, **კარგად ჩანს მის ნაკლებად ამალღებულ პროზაულ სტილში, რაც არ ახასიათებდა მაქსიმეს** და რაც გამოკვეთილია გეომეტრის სხვა ნაწერებშიც.

**ამგვარად, ქრისტოს სიმელიდისის ეჭვის საგანია ეფთვიმეს მიერ დაკარგულად მიჩნეული მაქსიმე აღმსარებლის ბერძნული ტექსტის თარგმნა.** მისი აზრით, ლინგვისტურმა შედარებამ გამოავლინა დიდი მსგავსება ეფთვიმეს თარგმანსა და გეომეტრის ტექსტებს შორის: *„ქართული თარგმანი რომ არ მომდინარეობდეს გეომეტრის ფექსტისაგან, არ იქნებოდა ასეთი სრული შესაბამისობა“*. ამ ორ ტექსტს შორის ძლიერი ან თითქმის სრული სიტყვიერი შესაბამისობის ერთადერთი ახსნა, მისი აზრით, არის ის, რომ **„ქართული ფექსტი არის თარგმანი იოანე გეომეტრის ფექსტისა“**... *„ორივე ეს ფექსტი დამოკიდებული რომ იყოს ადრეულ ბერძნულ ფექსტზე, დაწერილზე ნაკლებად ამალღებული პროზაული სტილით, მაშინ ქართული თარგმანი ასე გედმინვნით არ გაიმეორებდა გეომეტრის ბერძნულს“*.<sup>19</sup> სიმელიდისის აზრით, **ის საერთო, რაც არსებობს ქართულ თარგმანსა და გეომეტრის ტექსტებს შორის, უნდა აიხსნას ქართული თარგმანის გეომეტრის თხზულებიდან მომდინარეობით და არა უშუალოდ მაქსიმეს თხზულების თარგმნით.**<sup>20</sup>

ქრისტოს სიმელიდისის ზემოთ დასახელებული საკმაოდ ვრცელი წერილის დასაწყისი, ზოგადი, ნაწილის ამ მოკლე მიმოხილვაში ჩვენთვის არსებითია ის, რომ წერილის ავტორის მტკიცებით, **ეფთვიმე ათონელმა თარგმნა არა მაქსიმე აღმსარებლის დღეისათვის არარსებული ბერძნული ტექსტი, არამედ იოანე გეომეტრის თხზულება.** ამ თეზის გასამყარებლად სიმელიდისის ერთ-ერთი ძირითადი არგუმენტი ის არის, რომ **ტექსტობრივად დიდი სიახლოვეა „ღვთისმშობლის ცხოვრების“ ქართულ თარგმანსა და გეომეტრის „ღვთისმშობლის ცხოვრებას“ შორის; გარდა ამისა, „გეომეტრის ხელწერას“, რაც, სიმელიდისის თქმით, კარგად ჩანს მაქსიმეს სტილისაგან სრულიად განსხვავებულ მის „ნაკლებად ამალღებულ პროზაულ სტილში“, ის ავრცობს ქართულ თარგმანზეც,**

ქვემოთ შევხებით სიმელიდისის მიერ წარმოდგენილ კონკრეტულ

<sup>18</sup> Simelidis, “Two Lives”, pp. 132-135.

<sup>19</sup> იქვე, გვ. 127.

<sup>20</sup> იქვე.

არგუმენტებს და, გარკვეულ შემთხვევებში, მათ შევუპირისპირებთ მიშელ ვან ესბროკის ფრანგული თარგმანისათვის წამძღვარებული შესავალი წერილიდან იმ მასალას, რომელიც საპირისპიროზე მეტყველებს, ანუ – ეფთვიმე ათონელის თარგმანის მომდინარეობაზე მაქსიმე აღმსარებლის დაკარგული ბერძნული თხზულებიდან (**ან რომელიდაცა დღეს არარსებული ან მიუკვლეველი ბერძნული ტექსტიდან, რის ალბათობასაც ჩვენ არ გამოვრიცხავთ; ნ. მ.**); ამ მასალას დავუმატებთ ჩვენეულ დაკვირვებებსაც ამ ორი ავტორის მიერ (მიშელ ვან ესბროკისა და ქრისტოს სიმელიდისის) **წარმოდგენილი მტკიცებულებების დამაჯერებლობის შესახებ.** ვეცდებით, გამოვკვეთოთ, თუ რამდენად ამოწურულად შეიძლება ჩაითვალოს დღესდღეობით საკითხი „ღვთისმშობლის ცხოვრების“ ეფთვიმესეული ქართული თარგმანის წარმომავლობის შესახებ.

ამოსავალი წერტილი სიმელიდისისათვის ეფთვიმეს თარგმანის გეომეტრის თხზულებიდან მომდინარეობის შესახებ მსჯელობისას **არის ეფთვიმეს მთარგმნელობითი მეთოდი, რომლის მისადაგებიტაც ქართული თარგმანისადმი ის ხსნის ყველა განსხვავებას ამ ორ თხზულებას შორის.** ბერძენი მკვლევარი ეფთვიმეს მთარგმნელობითი მეთოდის მიმოხილვისას ეყრდნობა როგორც ქართველი, ასევე, უცხოელი მეცნიერების ნაშრომებს და იზიარებს მათ აზრს, რომ ეფთვიმესათვის მნიშვნელოვანი იყო „*გამარცივებული, შემოკლებული, ან გაფართოებული, ინფერპოლირებული და ზოგჯერ შედგენილი თარგმანების შექმნა*“.<sup>21</sup> ამ მიზნით ის (ეფთვიმე) სხვადასხვა ხერხს მიმართავდა, მაგ.: იღებდა სათარგმნი ტექსტიდან „*დახვენიდ თეოლოგიურ და ფილოსოფიურ არგუმენტებს, ასევე, მეორეხარისხოვან ისტორიულ გადმოცემებს*“,<sup>22</sup> „*მითოლოგიას, საეკლესიო*

---

<sup>21</sup> Simelidis, “Two Lives”, p. 128, n. 21; p. 139, n. 107 (სიმელიდისის მიერ სტატიის სქოლიოში დამოწმებულ მკვლევართა ნაშრომებს წარმოვადგენთ ჩვენი წერილის სქოლიოშიც, რათა დაინტერესებულმა მკითხველმა შეძლოს მათი გაცნობა). რაც შეეხება “შემოკლებულ” თარგმანებს, ამ პუნქტთან მიმართებით სიმელიდისი იმოწმებს მხოლოდ ქ. ბუზარაშვილის ნაშრომს, რომელიც, ძირითადად, გრიგოლ ნაზიანზელის პოეზიის კვლევას ეფუძნება. ვფიქრობთ, პროზაულ თხზულებებზე ამ პუნქტის გავრცელება გაჭირდება, რადგან ისინი ეფთვიმეს თარგმანებში, როგორც წესი, გავრცობილია მათი კომენტარების ხარჯზე (იხ.: მელიქიშვილი, „რამდენიმე დაკვირვება“, გვ. 120-123).

<sup>22</sup> Simelidis, “Two Lives”, p. 139, n. 108.

პოდიკის ამბებს“;<sup>23</sup> „უცენზურო ძველ ბერძნულ საიდუმლოებებს“;<sup>24</sup> „ცნდენციურად ამოკლებდა ცექსცს“.<sup>25</sup> თავისი ძირითადი მიზნის მისაღწევად, რთული ან სკანდალური ადგილების გამოტოვების გარდა, სიმელიდის ასახელებს ეფთვიმეს მიერ აღმზრდელითი პასაჟების ინტერპოლაციას ტექსტში.<sup>26</sup> სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით, ქრისტოს სიმელიდის წერს, რომ ეფთვიმე ქმნიდა ახალ ტექსტებს სხვა პატრისტიკული ტექსტების საფუძველზე.<sup>27</sup> **ბერძენი მკვლევარი არ გამოირცხავს, რომ „იშვიათ შემთხვევებში, შესაძლოა, ეფთვიმე თარგმნიდა იმ დედნებიდან, რომლებიც შემდეგში დაიკარგა და ეს განსხვავებები ამით აიხსნება“;**<sup>28</sup> მაგრამ იშველიებს აკად. კორნელი კეკელიძეს და მიიჩნევს, რომ **ეფთვიმე, ძირითადად, დაინტერესებული იყო მოდელების ადაპტაციით და არა სათანადო თარგმანით, შედეგად კი იქმნებოდა ბერძნული თხზულებების არსებითად ახალი ვერსიები.**<sup>29</sup>

მოკლედ შევეხებით აკად. კორნელი კეკელიძის თვალსაზრისს ეფთვიმე ათონელის უშუალოდ ამ საკვლევი ქართული თარგმანის წარმომავლობის შესახებ. აი, რას წერს ის: „ჩანს, ბიზანციურ დიფერაფურაში ცნობილი ყოფილა კრებული ღვთისმშობლის შესახებ აპოკრიფებისა, რომელიც, მეცი ავტორიტეტისათვის, ნარწერილი ყოფილა მაქსიმე აღმსარებლის სახელით; ამ გარემოებას, აგრეთვე, იმას, რომ შინაარსი ამ კრებულისა ... მოგანიღია თითქოს საღმრთო წერილისა და წმიდა მამათა თხზულებათაგან, გაუბედვინებია ექვთიმესათვის ეთარგმნა მკითხველთათვის ეს შინაარსით საინტერესო კრებული“.<sup>30</sup>

ჩვენი მიზანი ამჯერად არ არის, გავყვეთ დიდი მეცნიერის ამ ვარაუდს და მის შესახებ ვისაუბროთ. გვსურდა, მხოლოდ მისი პოზიციის წარმოჩენა.

**დავუბრუნდეთ სიმელიდის არგუმენტს. იგი ეფთვიმე ათონელის მთარგმნელობით მეთოდს უკავშირებს მეტაფორასტების მეთოდს. ამის ერთ-ერთ საბუთად იმასაც ასახელებს, რომ ეფთვიმე პირადად იცნობდა სვიმეონ მეტაფორასტსა და ნიკიფორე ურანოსს. ბერძენი მკვლევარი ვარაუდობს, რომ დიდი ქართველი საეკლესიო მამა შთაგონებული**

<sup>23</sup> იქვე, გვ. 139, შენ. 109.

<sup>24</sup> იქვე, გვ. 139, შენ. 111.

<sup>25</sup> იქვე.

<sup>26</sup> იქვე, გვ. 139, შენ. 112.

<sup>27</sup> იქვე, გვ. 140, შენ. 113-114-115.

<sup>28</sup> იქვე, გვ. 140, შენ. 116.

<sup>29</sup> იქვე, გვ. 140.

<sup>30</sup> კეკელიძე, *ძველი ქართული დიფერაფურის*, გვ. 196-197.

და წახალისებული იყო, რომ აესახა მეტაფორასული პროცესები თავის თარგმანებში. გვსურს, ერთი შენიშვნა გამოვთქვათ სიმელიდის მიერ ეფთვიმეს თარგმანისადმი მისადაგებული მეტაფორასული მეთოდის მიმართულებით: ეს მეთოდი, როგორც სიმელიდისი თვითონ აღნიშნავს, ძირითადად, გულისხმობს „*დანშენდილი და გამშვენებული ენის გამოყენებას*“, მაგრამ იქვე აღნიშნავს, რომ ეფთვიმეს სხვა მიზანი ჰქონდა, კერძოდ: „*შინაარსისა და ენის რედაქციების გზით ეს თარგმანები ხელმისაწვდომი და გასაგები გაეხადა იმ საზოგადოებისათვის, რომელსაც ჯერ კიდევ არ გააჩნდა საფუძვლიანი ცოდნა თეოლოგიასა და ფილოსოფიაში*“.<sup>31</sup> ჩნდება კითხვა: მამ რატომ გულისხმობს ეფთვიმეს მეთოდი, მოტანილი მასალის ფარგლებში, მეტაფორასული მეთოდის გამოყენებას?

ეფთვიმე ათონელის მთარგმნელობითი მეთოდის სკრუპულოზური შესწავლა და განხილვა ქრისტოს სიმელიდისისათვის **აუცილებელი იყო იმ ცვლილებების ასახსნელად, რაც მანვე დაადასტურა ეფთვიმეს ქართულ თარგმანსა და გეომეტრის „ღვთისმშობლის ცხოვრებას“ შორის.**

ეფთვიმეს მთარგმნელობითი მეთოდი იმდენად ვრცელი სფეროა და იმდენად ყოვლისმომცველია, რომ სიღრმისეული კვლევის გარეშე **ის შეიძლება მივუსადაგოთ ორ ტექსტს შორის აღმოჩენილ ნებისმიერ განსხვავებას და ამით ავხსნათ ქართული თარგმანის ყველა გადახვევა გეომეტრის ბერძნული ტექსტიდან.**

**ეს მეთოდი ეფთვიმეს შეეძლო გამოეყენებინა არა მხოლოდ გეომეტრის ტექსტის, არამედ ნებისმიერი სხვა წყაროს მიმართ.** ამის მაგალითად შეგვიძლია დავიმოწმოთ თვით სიმელიდისის მიერ სტატიამში განხილული ერთ-ერთი შემთხვევა და დასკვნა მისგან საპირისპირო გავაკეთოთ, კერძოდ:

სიმელიდისი მსჯელობს იმის შესახებ, „*თუ როგორ ეპყრობოდა ეფთვიმე გეომეტრის ორიგინალს*“,<sup>32</sup> ანუ რა თვალსაზრისით ცვლიდა მას. ამის ნათელსაყოფად მან მოიტანა ვრცელი მონაკვეთი, რომელიც არის გეომეტრის ტექსტში და არ არის ქართულ თარგმანში – იქ, სადაც საუბარია იმაზე, რომ „*სერობა იგი საიდუმლო და დიდებული აღესრუებოდა*“, ეფთვიმეს თარგმანი წყდება. გამოტოვებულ მონაკვეთში, რომელსაც სიმელიდისი აანალიზებს,<sup>33</sup> საუბარია იმის შესახებ, რომ „*საკითხი საიდუმლო სერობისა*

<sup>31</sup> Simelidis, “Two Lives”, p. 142, n. 125, 127.

<sup>32</sup> იქვე, გვ. 151-152.

<sup>33</sup> იქვე, გვ. 152, შენ. 194.

იყო გადაუწყვეტელი და დაპირისპირების წარმომშობი...“. პატრიარქი ფოტოუსი (IX ს.) თავის ნაშრომში, უცნობ ავტორზე დაყრდნობით, წერს, რომ *“ქრისცე პასექს ზეიმობდა რჯულის თანახმად ყველა სხვა წესს, მაგრამ არა იმ წესს, როდესაც მოხდა მისი გაცემა“*. პატრიარქი დასძენს, რომ *„ეს საკითხი უნდა იქნას შესწავლილი, რადგან ოქროპირი და ეკლესია ამბობს, რომ იგი მართლაც აღნიშნავდა პასექს რჯულის მიხედვით“*.<sup>34</sup> სიმელიდისის საბოლოო დასკვნა, ეფთვიმეს მიერ გეომეტრის ტექსტის ამ მონაკვეთის გამოტოვების შესახებ, არის თავის არიდება იმ თვალსაზრისის გადმოცემისათვის, რომ *„საიდუმლო სერობა სინამდვილეში იყო პასექის სედერი“*. ეფთვიმე, სიმელიდისის აზრით, ან არ ეთანხმებოდა გეომეტრს ამ საკითხში, ან, რაც მისთვის უფრო სავარაუდოა, ფიქრობდა, რომ **საკამათო თემა ქართული საზოგადოებისათვის დამაბნეველი იქნებოდა**.<sup>35</sup>

ეს მსჯელობა საიდუმლო სერობაზე, წარმოდგენილი იოანე გეომეტრთან და გამოტოვებული ქართულ ტექსტში, **ვფიქრობთ, სრულიად შესაძლებელია, ეკუთვნოდეს მაქსიმე აღმსარებელს** – ეფთვიმეს მთარგმნელობითი მეთოდი ხომ მკითხველისათვის სათარგმნი ტექსტის გამარტივებას ითვალისწინებდა – ვეთანხმებით ქრისტოს სიმელიდისის დასკვნას, რომ ეს საკამათო და, შესაძლოა, დამაბნეველი თემა ყოფილიყო ქართული საზოგადოებისათვის. ამდენად, ამ მონაკვეთის გამოტოვება ეფთვიმეს მიერ თავისი წყაროდან (ანუ მაქსიმეს ტექსტიდან) და მისი შენარჩუნება გეომეტრის ტექსტში, შეგვიძლია განვიხილოთ სწორედ ამ უკანასკნელის (იოანე გეომეტრის) მიერ მაქსიმეს ტექსტის წყაროდ გამოყენების არგუმენტად.

ამ კონტექსტში გვსურს მკითხველს გავაცნოთ ერთი ადგილი, რომელზეც საუბრობს მიშელ ვან ესბროკი თავის შესავალ ნაწილში: **ის ერთმანეთისაგან მიჯნავს გეომეტრის ტექსტში არსებულ და ქართულ თარგმანში გამოტოვებულ მონაკვეთებს მათი თეოლოგიური შინაარსისა და მნიშვნელობის მიხედვით: „თუ ზოგიერთი მათგანის გაანალიზების შემდეგ ისინი უცყუარად მაქსიმესეულად შეიძლება იქნეს მიჩნეული, მაშინ, ადვილი დასაშვებია, რომ მათი ამოღება** (ეფთვიმეს მიერ; ნ. მ.) **მომხდარიყო მაქსიმეს და არა გეომეტრის ცეფსციდან“**.<sup>36</sup>

ამ წინასწარი დაშვების შემდეგ, მიშელ ვან ესბროკი ასკვნის: **თუ დაექებნება ლოგიკური ახსნა ეფთვიმეს მიერ ასეთი (მაქსიმესეულად**

<sup>34</sup> Simelidis, “Two Lives”, pp. 153.

<sup>35</sup> იქვე, გვ. 151.

<sup>36</sup> Esbroeck, *Vie de la Vierge*, pp. XXVIII-XXIX.

მიჩნეული; ნ. მ.) ადგილების გამოტოვებას, მაშინ მეტ დამაჯერებლობას შეიძენს ვარაუდი არა ეფთვიმეს კავშირს გეომეტრის თხზულებასთან (ანუ ეფთვიმეს თარგმანის მომდინარეობა გეომეტრის ტექსტიდან; ნ. მ.), არამედ ვარაუდი – გეომეტრის მიერ მაქსიმეს ბერძნული ტექსტის, როგორც წყაროს, გამოყენებას.

მიშელ ვან ესბროკმა მოიტანა თავისი მოსაზრების დამადასტურებელი მაგალითი: „სრულიად გამორიცხულად მიგვაჩნია, რომ მაქსიმე არ წარმოადგენდეს იოანე გეომეტრის წყაროს 52-ე თავის ბოლოს“ (იგულისხმება, რასაკვირველია, გეომეტრის ბერძნული ტექსტი, რადგან ეს ფრაზები ეფთვიმეს თარგმანში არ არის; ნ. მ.). ეს არის ქრისტეს დვთაებრიობის სხვადასხვა ვებით უარყოფის მოკლე ჩამონათვადი. ერეციკული პოზიციების ეს მოკლე ანთოლოგია არ შეიცავს დოქტრინას, რაც ნამდვირად დედნისეულად მიგვაჩნია: *οὐ δὲ καὶ ταῦτα μὲν, οὐράνιον δὲ σῶμα καὶ ὅς διὰ σαλῆνος καὶ ὅτι τέλειον ἐξ ἀρχῆς τὸ κτιστοῦσθαι* (Vat. Gr. 504, fol. 181 rb).<sup>37</sup> აფთარდოდოკეციზმის ეს ყველაზე რადიკალური გამონათქვამები შეესაბამება VI საუკუნის მიწურულისა და VII საუკუნის დამდეგის დავებს, როგორც ეს ცოცხანის წინ დავგანახვა M. Tardieu-მ.<sup>38</sup>

ნათქვამს ქართველ მკვლევართა ერთ მნიშვნელოვან დაკვირვებას დავამატებთ, გაკეთებულს, ზოგადად, ეფთვიმეს თარგმანების, და, განსაკუთრებით, გრიგოლ ნაზიანზელის 16 ლიტურგიკული სიტყვის ეფთვიმესეული თარგმანის სკრუპულოზური შესწავლის შედეგად: ამ დიდი მამის მიერ ტექსტის გამარტივება, ძირითად შემთხვევებში, გულისხმობს არა სათარგმნი წყაროდან მასალის ამოღებას, არამედ მის გავრცობილად, კომენტირებულად თარგმნას. გამოკვეთილია ეფთვიმეს მიერ ტექსტის შემოკლების ერთეული, სრულიად კონკრეტული მიზეზის მქონე შემთხვევები: წარმართული დღესასწაულების ვრცელ აღწერებს და მსჯელობებს ერეტიკული მიმდინარეობის წეს-ჩვეულებათა შესახებ ეს დიდი საეკლესიო მამა შეგნებულად უვლის გვერდს თავის თარგმანებში: „რამეთუ სირცხვრე მიჩნს დღესა ნათლისასა საქმეთა ბნელისათა თქუმად“ (S. Gregorii Nazianzeni Opera, Versio Iberica, V, p. 42).<sup>39</sup> ზემოთ განხილული მაგალითიც ასეთ შემთხვევათა რიგს განეკუთვნება.

გეომეტრის ტექსტის ცალკეული „რთული თეოლოგიური მსჯელობების“ არარსებობას ქართულ თარგმანში, მ. ვან ესბროკი,

<sup>37</sup> იქვე, გვ. XXIX, შენ. 82.

<sup>38</sup> Esbroeck, *Vie de la Vierge*, p. XXIX, n. 83.

<sup>39</sup> Otkhmezuri (ed.), *Medieval Georgian Literary*, pp. 236-237.

ქრისტოს სიმელიდისისაგან განსხვავებით, არ განმარტავს ეფთვიმეს მთარგმნელობითი მეთოდით. ბელგიელი მკვლევარი ასკვნის, რომ ეს მონაკვეთები, **საგარაუდოდ, უბრალოდ არ იყო იმ ბერძნულ წყაროში, რომელსაც ეფთვიმე თარგმნიდა.** ამის არგუმენტი ესბროკისათვის არის ის, რომ **ქართული თარგმანი სრულებითაც არ არის დაცლილი ღრმა თეოლოგიური წიაღსვლებისაგან (რაც იმაზე მიუთითებს, რომ ეფთვიმე არ ათავისუფლებდა თარგმანს ასეთი მონაკვეთებისაგან – მისი მთარგმნელობითი მეთოდი გამარტივებასა და კომენტირებას გულისხმობდა და არა – ტექსტის გამოტოვებას)** – ეს მონაკვეთები, შესაძლებელია, გეომეტრთან სხვა წყაროდან იყო ჩართული; არც ის უნდა გამოირიცხოს, რომ ზოგიერთი მათგანი თვითონ გეომეტრს ეკუთვნოდა.

**რაც შეეხება იმას, რომ ქართულ თარგმანში რიგი ადგილები, ძირითადად, ასევე, თეოლოგიური მსჯელობები, გეომეტრთან განსხვავებულად არის წარმოდგენილი, ამის მიზეზი, მ. ვან ესბროკის დაკვირვებით, არის გეომეტრის მიერ ბერძნული წყაროს ან მცდარად გაგებული რომელიმე ადგილი ან, სულაც, ამ ვერგაგების გამო, საერთოდაც გამოტოვებული.** მ. ვან ესბროკის მიერ განხილულ ყველა ასეთ შემთხვევას ჩვენ აქ ვერ მოვიტანთ, მათი ნახვა დაინტერესებულ მკითხველს თავად შეუძლია ესბროკის გამოცემაში, მაგრამ რამდენიმე საილუსტრაციო მაგალითზე მითითებას მკითხველს მივაწვდით:

*„ყოველთვის, როცა მაქსიმესთან არის ინკანააციის თეოლოგია, გეომეტრი მას ან გამოცოვებს, ან აზრს აბუნდოვანებს ... მასთან არასოდეს ვხვდებით ისეთ გამოთქმებს, როგორიცაა 'ბუნებათა უბეშთაესი' და 'ცნობათა უვალრესი'; ... გეომეტრმა, როგორც ჩანს, ვერ გაიგო ან არ იცნობდა 'მონწყიდეს' ღმერთის აღსანიშნად; ... იგი ცოვებს ღვთისმშობლის წინამძღვრობას დედებთან და მამრობითი წერს; ... მაქსიმეს თავების მრავალი დანართი გეომეტრთან ამოღებულია, მაგ.: ევქარისტის ფინარი, სუდინშიდის შევონება მოგვი მეფეების სიმბოლური ძღვენის შესახებ; ... მსჯელობა ხსნის მოვლენებზე...“.* კიდევ არაერთი მსგავსი ადგილი აქვს ვრცლად განხილული მ. ვან ესბროკს.<sup>40</sup>

ზემოთ თქმულიდან, ვფიქრობთ, ის დასკვნა უფრო კეთდება, რომ იმას, რასაც სიმელიდისი მიაწერს ეფთვიმე ათონელს, ვხვდებით სწორედ გეომეტრის თხზულებაში. ამას შეიძლება სხვადასხვა სახელი დაერქვას: ტექსტის გამარტივება შეგნებულად ან, ბერძნული წყაროს გარკვეული ადგილების გაგების ხელმიუწვდომლობის გამო, მათი გამოტოვება და,

<sup>40</sup> ამ საკითხზე მიშელ ვან ესბროკის სხვა მაგალითები ტექსტიდან და მათზე ვრცელი მსჯელობა იხ.: Esbroeck, *Vie de la Vierge*, pp. XXI-XXV.

ზოგიერთ შემთხვევაში, არასწორი ინტერპრეტირება.

ქრისტოს სიმელიდისის მტკიცებისას ქართული თარგმანისა და გეომეტრის თხზულების „თითქმის იდენფრობისა“<sup>41</sup> და მასალის „ერთი და იგივე თანმიმდევრობით განტარების“<sup>42</sup> შესახებ, ძნელია, ვიგულისხმოთ ტექსტების სრული დამთხვევა, რადგან, გეომეტრის თხზულების კომპილაციური ხასიათის გამო, ამ თანმიმდევრობის შიგნით ჩართულია განსხვავებული ნაწილები. ჩართული წყაროების არსებობა თვითონ სიმელიდისმაც არაერთხელ აღნიშნა:

„შესაძლოა, ყოველი წყაროს გადამუშავებისას გეომეტრი დროდადრო ახლოს რჩებოდა თავის მოდელებთან, მისდევდა რა თავისი დროის მეტაფრასულ პროცედურას, თუმცა, მისმა უნარმა, შეექმნა საკუთარი რიფორიკული ფექსცი და გამოეთქვა საკუთარი აზრი, როგორც ჩანს, მიიყვანა ის სხვა დისკურსამდე და მან შექმნა თხზულება, რომელიც იყო მისი საკუთარი სინთეზი მრავალი წყაროსი და შეიცავდა აპოკრიფულ თხზულებებს, ასევე – ორიგენეს, იოანე ოქროპირს, ფსევდოდონისე არეოპაგელს, იოანე თესალონიკელსა და გერმანოს კონსტანტინეპოლისს; გარდა ამისა, იოანე გეომეტრზე გავლენა მოახდინა IX საუკუნის ორი ავტორის ნაწერებმა: ეპიფანე კადისტრატოსის ‘ღვთისმშობლის ცხოვრებამ’ და გიორგი ნიკომედიელის ჰომილიებმა მარიაშის როლის შესახებ ვნების მოვლენებში“.<sup>43</sup>

სწორედ ამიტომ, ფილ ბუტის მიერ მოტანილი ამ ორი თხზულების „ზედმიწვევით მსგავსი მონაკვეთის“ განხილვისას, ბერძენი მკვლევარი თავს ვალდებულია მიიჩნევს, მკითხველს უთხრას, რომ „მარცო ეს ნიმუში, რომელიც აჩვენებს უკიდურესად მჭიდრო მსგავსებას გარკვეული ვარიაციის პარადიგმურად, ეჭვს არ ცოვებს, რომ ორივე ფექსცი ან იმეორებს დაკარგულ მოდელს, ან ერთი მათგანი იმეორებს მეორეს“.<sup>44</sup> როგორც ჩანს, სიმელიდისი თვლის, რომ ეს „დაკარგული მოდელი“, შესაძლებელია, იყოს ერთ-ერთი იმ წყაროთაგანი, რომელთა გამოყენების შესახებ იოანე გეომეტრი თავად საუბრობს თავის წინასიტყვაში. მიუხედავად იმისა, რომ ვერც ბერძენი მკვლევარი გამორიცხავს ამ მოდელად მაქსიმეს დაკარგული თხზულების არსებობას (თუმცა, საერთოდაც, გამოთქვამს ეჭვს ასეთი თხზულების არსებობაში), მისი მსჯელობა მთელი სტატიის მანძილზე ნამდვილად გამორიცხავს ამ „მოდელს“, როგორც დედანს ქართული თარგმანისათვის.

<sup>41</sup> Simelidis, “Two Lives”, p. 145.

<sup>42</sup> იქვე, გვ. 145, შენ. 155.

<sup>43</sup> იქვე, გვ. 136, შენ. 82-83.

<sup>44</sup> იქვე, გვ. 145, შენ. 154.

მისი აზრით, ასეთ შემთხვევებშიც კი, ეს მოდელი შეიძლება იყოს ერთ-ერთი, მაგრამ არა ერთადერთი წყარო ეფთვიმესათვის: **ძირითად წყაროდ ქართული თარგმანისა ქრისტოს სიმელიდისი მაინც გეომეტრის თხზულებას მიიჩნევს.**

სიმელიდისი ეფთვიმეს თარგმანში, ძირითადი წყაროს გარდა, საუბრობს სხვა წყაროების ჩართულობაზე, რადგან ისინი თვით ქართულ თარგმანში არის დასახელებული. ერთ-ერთი მათგანია წმ. გრიგოლ საკვირველთმოქმედი – ეს დიდი საეკლესიო მამა ქართულ თარგმანში დასახელებულია რამდენიმე სხვა, ასეთივე ცნობილ, ავტორთან ერთად: „... გრიგორ ნეოკესარიელი თაუმაფურგოსი, დიდი ათანასე აღექსანდრიელი, ნეფარი გრიგორ ნოსელი, დიონისე არეოპაგელი და სხვები, მათი სწორი ღირსებით“.<sup>45</sup> სიმელიდისი მიიჩნევს, რომ ამ სახელების ჩამონათვალი ეფთვიმემ გადაიწერა **სვიმეონ მეტაფრასტის „ღვთისმშობლის მიძინების“ ტექსტიდან**<sup>46</sup> – მხოლოდ გრიგოლ საკვირველთმოქმედი არ არის ნახსენები სვიმეონთან. მისი დასახელება და გამოყენება (სიმელიდისის აზრით, ეფთვიმეს და არა ბერძნული წყაროს ავტორის მიერ) ბერძენმა მკვლევარმა იმით ახსნა, რომ გრიგოლ საკვირველთმოქმედი კარგად იყო ცნობილი იმდროინდელი ქართული საზოგადოებისათვის და, მისი აზრით, გრიგოლის თხზულებებიდან ადგილების ჩართვა წაადგებოდა ქართული თარგმანის პოპულარიზაციას.

საჭიროა, ბოლომდე გაირკვეს საკითხი იმის შესახებ, თუ **რა დამოკიდებულება არსებობს ქართულ თარგმანსა და სვიმეონ მეტაფრასტის „ღვთისმშობლის ცხოვრებას“ შორის.** ქრისტოს სიმელიდისისათვის ამ ტექსტის გამოყენება ეფთვიმეს მიერ ეჭვიმოტანელი ფაქტია, მაგრამ აკად. კორნელი კეკელიძე სვიმეონის ტექსტს მაქსიმეს „ფსევდოეპიგრაფიკული“ თხზულების მეტაფრასულ ვარიანტად მიიჩნევს.<sup>47</sup> ამ შემთხვევაში არა აქვს მნიშვნელობა, ქართული თარგმანის დედანი მაქსიმეს ტექსტია, თუ რომელიღაცა სხვა, დღესდღეობით არარსებული თუ ვერმიკვლეული, ბერძნული წყარო – მთავარი ის არის, რომ ეს ვარაუდი შესამოწმებელია: თუ ეფთვიმეს ხელი მიუწვდებოდა ორივე ამ ტექსტზე (კიმენსა და მეტაფრასტზე), რით შეიძლება დასაბუთდეს, რომ მან საწყისი

<sup>45</sup> Simelidis, “Two Lives”, p. 149, n. 170.

<sup>46</sup> იქვე, გვ. 149, შენ. 171.

<sup>47</sup> კეკელიძე, *ეტიუდები*, V, გვ. 97. გამოცემულია ვ. ლატიშევის მიერ: *Menologii anonymi Byzantini saeculi X quae supersunt*, fasc. 1, Petropoli, 1911, pp. 347-383; მისი ქართული თარგმანი დაცულია გელათ. #1-ში, 410-438 (კეკელიძე, *ძველი ქართული დიფერაფურის*, გვ. 196, შენ. 1).

ტექსტის გამოყენებას მისი გადამეტაფორასებული რედაქცია არჩია? თუ ეფთვიმემ თარგმნა ძირითადი ტექსტი, მაშინ თვით ეფთვიმეს ბერძნული დედანი, მართლაც, არაერთი წყაროს შემცველი გამოდის და არა მხოლოდ ამ წყაროების ჩამონათვალისა.<sup>48</sup> ესეც დაბრკოლებაა ქართული თარგმანის გეომეტრის თხზულებიდან მომდინარეობის მტკიცებისას.

ვფიქრობთ, ვითარებაში გარკვევას სჭირდება ქართული თარგმანისა და იოანე გეომეტრის ბერძნული ტექსტის „*თითქმის იდენტური*“ მონაკვეთების სკრუპულოზური შედარება და დადგენა, თუ ამ „*იდენტურობის*“ შიგნით რამდენად ემთხვევა იმ დამატებითი წყაროების გამოყენებაც, რომლებიც, იმავე სიმელიდის და მიშელ ვან ესბროკის კვლევებზე დაყრდნობით, იძებნება როგორც ერთ, ისე – მეორე ტექსტში. თუ ეს წყაროებიც ემთხვევა ერთმანეთს, მაშინ გაჩნდება საფუძველი ამ ორ ტექსტს შორის მეტი კავშირის არსებობის მტკიცებისათვის.

ამ გამოძიების ჩატარების გარეშე, წყაროების გამოყენება როგორც ერთ, ისე მეორე ტექსტში, ჩვენი აზრით, ქრისტოს სიმელიდის აცლის იმის მტკიცების საფუძველს, რომ ქართული თარგმანის წყაროდ იოანე გეომეტრის თხზულება მიიჩნიოს: ვფიქრობთ, მისი პოზიციიდანაც კი, ძნელია, ისაუბრო ორი კომპილაციური თხზულების (ბერძენ მკვლევარს ქართული თარგმანიც ასეთად მიაჩნია) ერთმანეთისაგან მომდინარეობაზე.

ქრისტოს სიმელიდისი მკითხველს უზიარებს ამ ორი ტექსტის შედარების შედეგად გაკეთებულ კიდევ ერთ დაკვირვებას და ახალ შტრიხს უმატებს ეფთვიმე ათონელის მთარგმნელობით მეთოდს: მისი აზრით, გეომეტრის ბერძნული ტექსტის ზოგიერთი მონაკვეთი ქართულ თარგმანში ადგილშენაცვლებულია, ანუ ძალაში რჩება მისი დასკვნა ქართული თარგმანის წარმომავლობის შესახებ: „*ეფთვიმემ ასეთ შემთხვევებშიც სრულად გამოიყენა გეომეტრის ცექსცი, მაგრამ გარკვეული ადგილები, ასევე, უცვლელი სახით, გადაანაწილა სხვა მონაკვეთებში – ამით მან მოახდინა ცექსცის რესტრუქტურირებაცა საკუთარი შეხედულებისა და ინფერპრედაციის მიხედვით*“.<sup>49</sup>

---

<sup>48</sup> სიმელიდისის ვარაუდი ქართული თარგმანის სვიმეონის თხზულებასთან კავშირის შესახებ ირიბად ემყარება კ. კეკელიძის გამოთქმულ მოსაზრებას ამ თხზულების მაქსიმეს ფსევდოეპიგრაფიკული ტექსტის გადამეტაფორასებულ ვარიანტად ჩათვლის შესახებ (იხ. Simelidis, “Two Lives”, p. 150, n. 71). რაც შეეხება მ. ვან ესბროკს, ის ამ ავტორთა დასახელებას მიიჩნევს თვით მაქსიმეს თხზულების ორგანულ ნაწილად, ანუ თვლის, რომ მაქსიმე მათ იყენებდა თავისი თხზულების წყაროებად (იხ. Esbroeck, *Vie de la Vierge*, p. IX, n. 17, 18, 19, 20).

<sup>49</sup> Simelidis, “Two Lives”, pp. 145-146, n. 155.

გვსურს ჩვენი ვარაუდი გამოვთქვათ ასეთ შემთხვევებთან მიმართებით: აუცილებელია, ოპონენტმა წარმოადგინოს უტყუარი არგუმენტი იმის სასარგებლოდ, რომ ეს ადვილშენაცვლება ვაკეთებულია ქართულ თარგმანში და არა გეომეტრის ტექსტში. ვფიქრობთ, მსგავსი გადანაწილება მაშინ უფრო ხდება, როდესაც ტექსტის შემდგენელი ბევრ სხვადასხვა წყაროს იყენებს და ამ წყაროებს შინაარსობრივი კუთხით ერთმანეთს უსადაგებს, ანუ ერთი წყაროს სხვადასხვა მონაკვეთი, შესაძლოა, ერთად თავმოყრილი და გაბმული ტექსტის სახით მოწოდებული აღმოჩნდეს.

ჩვენ, რასაკვირველია, მტკიცებით სახეს ვერ მივცემთ ამ ვარაუდს – მხოლოდ იმის თქმა გვსურს, რომ ქრისტოს სიმელიდისის ბევრი არგუმენტი გეომეტრის ტექსტის როგორც ევთვიმეს თარგმანის წყაროს მტკიცებისას, შეგვიძლია შევაბრუნოთ მაქსიმეს, თუ რომელიდაცა სხვა ბერძნული ტექსტის, სასარგებლოდ, რომელსაც, როგორც წყაროს, იყენებდა როგორც ევთვიმე ათონელი, ასევე, იოანე გეომეტრი.

განსახილველ შემთხვევაშიც სწორედ მაქსიმეს ტექსტს, როგორც გეომეტრის თხზულების წყაროს, წარმოაჩენს მიშელ ვან ესბროკი: ის ასაბუთებს, რომ ქრისტოს სიმელიდისის მიერ მოტანილი რამდენიმე შემთხვევა, რომლებსაც ბერძენი მკვლევარი ქართულ თარგმანში გეომეტრის ტექსტთან შედარებით „დამაფებული ბიბლიური ციფრების“ კვალიფიკაციას ანიჭებს,<sup>50</sup> არის არა „ევთვიმეს მიერ დამაფებული ადგილები“, არამედ გეომეტრის ტექსტში ადვილშენაცვლებული და რამდენადმე შეცვლილი მონაკვეთები. განვიხილოთ ასეთი შემთხვევები:

**ქართულ თარგმანში, მე-6 თავში, ჩართულია 44-ე ფსალმუნის მოზრდილი ტექსტის პარაფრაზი:** საუბარია იმაზე, რომ დავითის „შუენიერნი წინაწარმეყუდეებანი უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესთვის აღასრუნა (სურინშიდამ; ნ. მ.), მეესეუდად ყოვდადწმიდისაცა დედისა მისისა სამკაურნი განაწესნა...“.<sup>51</sup> ამის შემდეგ ტექსტში იმაზეა საუბარი, რომ ეს ნათქვამი არა მხოლოდ ეკლესიას ეხება, როგორც ეს ზოგიერთებმა გაიგეს, არამედ შეიძლება ღვთისმშობლისადმიც იყოს მისადაგებული. ქართულ თარგმანში ამ საკითხზე საკმაოდ ვრცელი მსჯელობა გეომეტრთან მოკლედ არის წარმოდგენილი.<sup>52</sup> ქრისტოს სიმელიდისი თვლის, რომ გავრცობა ევთვიმეს ეკუთვნის და ამას მისი მთარგმნელობითი მეთოდით ხსნის.

<sup>50</sup> იქვე, გვ. 148.

<sup>51</sup> Esbroeck (ed.), *Vie de la Vierge*, p. 8.

<sup>52</sup> Simelidis, “Two Lives”, p. 148, n. 164, 165, 166.

ის არაფერს ამბობს მიშელ ვან ესბროკის კვლევის იმ ნაწილზე, სადაც ეს უკანასკნელი წერს, რომ „*თხზულების ბოლოს, თითქოს უკვე დასრულებულ ფეხს, გეომეტრმა ჩაუმატა ამ ადგილის მისი სურვილის მიხედვით გავრცობილი მსჯელობა*“. ამ ფაქტზე დაყრდნობით, მიშელ ვან ესბროკი აკეთებს, ვფიქრობთ, ყურადსაღებ დასკვნას: „...რაც ყველაზე მეტად მონშობს, რომ მაქსიმე ნამდვირად იყო მოდელი, რომელსაც თხზულების შესავლის შემდეგ გეომეტრი ველარ გაჰყვა. მასთან ღირიული და მორადური ასპექტები საერთოდ ამოღებულია, ან სხვა ფორმით არის გადმოღებული 'ცხოვრების' ბოლოს“.<sup>53</sup>

მსგავსი მაგალითი კიდევ მოყავს მიშელ ვან ესბროკს. ის გვეუბნება, რომ „ცხოვრების“ დასაწყისში იოანე გეომეტრმა გამოტოვა ყველაფერი, რაც ეხება „უმაწკობის“ ეპითეტს, განსაკუთრებით, 21 და 22-ე თავებში. მან ისინი გადაიტანა 61-ე თავის ბოლოს, რითაც დაუკავშირდა დასაწყისის თემებს, მაგრამ გაცილებით სუსტად.<sup>54</sup>

ქრისტოს სიმელიდისი აღნიშნავს გეომეტრის ტექსტში ავტორის „*უჩვეულო თეოლოგიური ინფერპრეტაციების*“ არსებობას და უმატებს, რომ „*ეფთვიმემ ზოგიერთი მათგანი გარკვეული მიზეზით გამოტოვა ქართულ თარგმანში*“.<sup>55</sup> განვიხილოთ მაგალითი, რომელზეც სიმელიდისი საუბრობს ანტუან ვენგერის ნაშრომზე დაყრდნობით: მკვლევარი მარიამს „**თანაგამომსყიდველის**“ სტატუსს ანიჭებს გეომეტრის ტექსტის შემდეგი ადგილის მიხედვით: „... *შენ ერთხელ მოკვდი ჩვენი გულისათვის, ხოლო იგი უთვარავჯერ კვდება...*“.<sup>56</sup> ამგვარი მიკუთვნებულობა, ვენგერისა და, მასზე დაყრდნობით, სიმელიდისის აზრით, „**თეოლოგიურად გაბედული**“ აღმოჩნდა ეფთვიმესათვის და მან ეს ადგილი თარგმანში გამოტოვა, მაგრამ, სიმელიდისის თქმით, ეფთვიმემ, რამდენიმე აბზაცით ზემოთ, თარგმანს დაუმატა გეომეტრის ამ წინადადების შერბილებული ვარიანტი, კერძოდ: „*ქრისტე ერთხელ შეიწირა ყველასათვის, მარიამი კი მუდამ ცოცხალია, რათა შუამდგომლობა გაუწიოს ყველას, ვინც მისი მეშვეობით მიეახლება ღმერთს*“, ანუ, გეომეტრის ტექსტისაგან განსხვავებით, მარიამი „*უამრავჯერ არ კვდება*“, არამედ „*მუდამ ცოცხალია*“.<sup>57</sup>

ვფიქრობთ, ვენგერის ამ მსჯელობასა და დასკვნას ჩაღრმავება სჭირდება. ვენგერსა და სიმელიდისს ეფთვიმეს ქართული თარგმანიდან სრული

<sup>53</sup> Esbroeck, *Vie de la Vierge*, p. XXVI.

<sup>54</sup> იქვე, გვ. XXII.

<sup>55</sup> Simelidis, “Two Lives”, p. 150.

<sup>56</sup> იქვე, გვ. 147, შენ. 160.

<sup>57</sup> იქვე, გვ. 147.

კონტექსტი რომ მოეტანათ, ისინი მას ამ ადგილის „შერბილებას“ ვერ დააბრალებდნენ იმ მიზნით, რომ თავიდან აეცილებინა **თეოლოგიურად გაბედული აზრი** ღვთისმშობლისათვის **თანაგამომსყიდველის** სტატუსის მინიჭების შესახებ. მოგვყავს სრული ტექსტი ქართული თარგმანის ესბროკისეული გამოცემიდან: „*აწ მეორე შუვამდგომელი მივიდა პირველისა მის მიმართ შუვამდგომელისა, კაცი ღმერთშემოსიდი ღმრთისა მიმართ კორცშემოსილისა, მეორე შესაწირავი ბუნებისა ჩუენისაჲ მისა მიმართ, შემდგომად პირველისა მის, რომედმან ერთგმის თავი თჳსი ყოვეტათჳს შეწირა, და მარად ცხოვედ არს მეოხად მათჳს, რომედნი-იგი მის მიერ მიუვდენ ღმერთსა*“.<sup>58</sup> მოტანილი მონაკვეთიდან ჩანს, რომ ქრისტე არის პირველი შუამდგომელი მამა ღმერთთან და პირველი შესაწირავი, ხოლო ღვთისმშობელი – მეორე შუამდგომელი პირველ შუამდგომელთან და მეორე შესაწირავი პირველის შემდეგ. ასე რომ, **თანაგამომსყიდველის** წოდება ქართულ თარგმანში ღვთისმშობელს ნამდვილად აქვს მიკუთვნებული.

ამავე რიგის მაგალითია ქრისტოს სიმელიდისის მსჯელობა გეომეტრის მიერ ღვთისმშობლის, როგორც „*ნუგეშინისმცემლის*“ (*ὁ πα-ράκλητος*) მოხსენიებაზე.<sup>59</sup> ეს ეპიტეტი **სახარებაში ქრისტეს მიერ გამოყენებულია სულიწმიდის მიმართ**: „*და მე ვჰკითხო მამასა ჩემსა და სხუაჲ ნუგეშინისმცემელი* მოვივლინოს თქუენ“ (**ინ. 14:16**). ბერძენ მკვლევარს ამ ადგილის ამონარიდი მოაქვს როგორც გეომეტრის ტექსტიდან, ასევე, ენის არცოდნის გამო, ეფთვიმეს ქართული ტექსტის სტივენ შუმეიკერის მიერ გაკეთებული ინგლისური თარგმანიდან, რომელიც მას თავის სტატიაში შეფასებული აქვს როგორც „*ძარიან ბუსცი თარგმანი*“.<sup>60</sup> პირველ რიგში, აღვნიშნავთ, რომ გეომეტრის ტექსტისა და ქართული თარგმანის ეს მონაკვეთები მთლიანობაშიც საკმაოდ აცდენილია ერთმანეთს, რასაც თვითონ სიმელიდისი აღნიშნავს,<sup>61</sup> მაგრამ ამჯერად ეს არ არის არსებითი: მთავარია ის, რომ სიტყვა **ნუგეშინისმცემელი**, რომელიც ტექსტის შუმეიკერის **არაზუსტ ინგლისურ თარგმანში** გადმოტანილია როგორც **“advocate“ (1. დამცველი, 2. მფარველი)**,<sup>62</sup> სინამდვილეში, ქართული თარგმანის ორივე შესატყვის ადგილას, წარმოდგენილია როგორც „**ნუგეშინისმცემელი**“: ერთგან აღნიშნავს

<sup>58</sup> Esbroeck (ed.), *Vie de la Vierge*, p. 168.

<sup>59</sup> Simelidis, “Two Lives”, p. 150.

<sup>60</sup> იქვე, გვ. 145.

<sup>61</sup> იქვე, გვ. 151.

<sup>62</sup> იქვე, გვ. 151, შენ. 189.

ქრისტეს, როგორც „*ნუგეშინისმცემელს მამის მიმართ*“ (2 ინ, 2,1-2), ხოლო მეორეგან – ღვთისმშობელს, რომელიც არის „*ნუგეშინისმცემელი და მეოხი*“ ადამიანებისათვის ქრისტეს წინაშე: „...*რამეთუ იგი მხოლოდ ნუგეშინისმცემელი გვვის მამისა მიმართ, იესუ ქრისტეც მართარი ... და შენ კუადად ნუგეშინისმცემელი ხარ და მეოხი ჩუენი მისა მიმართ*“,<sup>63</sup> ანუ, ზუსტად იმ სიტყვით, რაც არის გეომეტრის ტექსტშიც და არა შუმეიკერის მიერ თარგმნილი “advocate“-ით. ინგლისურ თარგმანში დაშვებული ეს შეცდომა გახდა მიზეზი სიმელიდისის ვრცელი და, როგორც ვხედავთ, საფუძველსმოკლებული მსჯელობისა იმის შესახებ, **თუ როგორ დააღწია ეფთვიმემ ამჯერადაც თავი უხერხულობას და როგორ მოახდინა გეომეტრის ტექსტის „მოდოფიკაცია“.**<sup>64</sup>

ამ ორი მაგალითის საფუძველზე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ის „*გაბედული თეოლოგიური აზრები*“, რომლებიც „*მოუღოდნებობა*“ აღმოჩნდა სიმელიდისა და ამ ტექსტის სხვა მკვლევართათვის იოანე გეომეტრისაგან, შეგვიძლია ჩამოვაცილოთ მას და მივაკუთვნოთ მაქსიმე აღმსარებელს, რომელიც, რა თქმა უნდა, მზად იყო ამგვარი „*გაბედულებისათვის*“, ან რომელიღაცა სხვა ბერძენ ავტორს, რომელსაც, შესაძლოა, ისინი ეკუთვნოდეს.

გვსურს შევეხოთ ქრისტოს სიმელიდისის მიერ ქართული თარგმანის ბერძნული წყაროს კვლევისას მოტანილ კიდევ ერთ არგუმენტს, კერძოდ: ეფთვიმეს მიერ გეომეტრის თხზულების „*ბაზისური იდეების*“ შენარჩუნების შესახებ. ბერძენი მკვლევარი საუბრობს ქართული ‘ცხოვრების’ წინასიტყვის საკმაო განსხვავებულობაზე გეომეტრის თხზულების წინასიტყვისაგან (ამას გარკვეულ ახსნასაც უძებნის მეტაფორასულ პრაქტიკაზე დაყრდნობით), მაგრამ აღნიშნავს, რომ „*მოფანიდ კონკრეტულ შემთხვევაში ეფთვიმემ შეინარჩუნა გეომეტრის ბაზისური იდეები*“. ეს რამდენიმე „*ბაზისური იდეა*“ მოკლედ არის დასახელებული სიმელიდისის სტატიის სქოლიოში მითითებულ სტივენ შუმეიკერის ნაშრომში.<sup>65</sup> საუბარია ისეთი ფრაზებისა და მეტაფორების გამოყენებაზე, როგორიც მრავლად არის წარმოდგენილი ღვთისმშობლის შესხმისას ნებისმიერ ჰომილეტიკურ თუ სხვა ჟანრის ძეგლში; დასახელებულია რამდენიმე მაგალითი, რომლებშიც ხაზი აქვს გასმული იმას, რომ **ყოველი ენა და ყოველი სულიერი ვალდებულია ხოტბა-დიდება შეასხას ღვთისმშობელს, მაგრამ ის იმდენად დიდია,**

<sup>63</sup> Esbroeck (ed.), *Vie de la Vierge*, p. 171.

<sup>64</sup> Simelidis, “Two Lives”, p. 150.

<sup>65</sup> Simelidis, “Two Lives”, p. 149, n. 169.

**რომ ამას ვერავინ შეძლებს..., მიუხედავად ამისა, ყველა ვალდებულია ხოტბა შეასხას მას...** ვფიქრობთ, კონტექსტიდან ამოდებული ეს სამი ფრაზა ვერ ჩაითვლება გეომეტრის თხზულების გავლენის ასახვად ქართულ თარგმანზე და მისი „*მაზისური იდეების*“ შენარჩუნებად. ქართული თარგმანის შესავალი ნაწილის, რომელზეც სიმელიდისი თავად ეუბნება მკითხველს, რომ ის საგრძნობლად განსხვავდება გეომეტრის წინასიტყვისაგან, პირველი სამი გვერდი საოცარი ხატოვანებით არის თარგმნილი (და, ალბათ, ავტორის მიერ ასეთივე ხატოვანებით დაწერილი), წარმოადგენს ღვთისმშობლისადმი ხოტბა-დიდების აღვლენას<sup>66</sup> და გაჯერებულია სხვადასხვა ეპითეტითა და მეტაფორით და თუ ეს ნაწილი არგუმენტად გამოდგება ქართული ტექსტის გეომეტრის თხზულებიდან მომდინარეობისათვის (რომელიც, სიმელიდისის თქმით, „ნაკლებ ამადლებული პროზაული სტილით“ არის დაწერილი), მაშინ სიმელიდისს უნდა მოეტანა არა სამი საყოველთაოდ გავრცელებული და შაბლონად ქცეული ფრაზა, არამედ ქართული თარგმანისა და გეომეტრის ტექსტის ორივე მონაკვეთი გვერდი-გვერდ მოეთავსებინა და მკითხველისათვის საშუალება მიეცა, თვითონ გაეკეთებინა დასკვნა მათი ურთიერთმიმართების შესახებ.

გეომეტრის ტექსტსა და ეფთვიმეს ქართულ თარგმანს შორის კიდევ ერთი განსხვავების ქრისტოს სიმელიდისეული ახსნის მცდელობა, ჩვენი აზრით, ასევე, ბოლომდე დამაჯერებელი არ არის. ბერძენი მეცნიერი, მკვლევარ P. Booth-ზე დაყრდნობით, აცხადებს, რომ ეფთვიმეს გადაწერილი აქვს გარკვეული ტექსტი თომას სახარებიდან იესოს ბავშვობის შესახებ, რითაც „*მან გააკვირვა მეცნიერები*“;<sup>67</sup> როგორც ჩანს, ამ პასაჟის მკვეთრად აპოკრიფული შინაარსის გამო. ქრისტოს სიმელიდისი აღნიშნავს, რომ სულ სხვა პოზიცია არის გაცხადებული ქართული თარგმანის 62-ე თავში, სადაც წერია, რომ „*წიგნი იგი, რომელსა ერქუმის სიყრმე ქრისტესი, არა შესაწყნარებელ არს, არამედ უცხო არს წესისაგან ეკლესიისა და წინააღმდეგომი წმიდათა მახარებელთა მიერ თქმულისა და მბრძოლი ჭეშმარიტებისაჲ, უგუნურთა ვიეთმე მიერ აღწერილი*“.<sup>68</sup> როგორც ზემოთ არაერთხელ აღვნიშნეთ, ქრისტოს სიმელიდისი თვლის, რომ ეფთვიმემ თარგმნა არა მაქსიმეს თხზულება, არამედ გეომეტრის ტექსტი გარკვეული ცვლილებებით და გრიგოლნოსელის

<sup>66</sup> Esbroeck (ed.), *Vie de la Vierge*, pp. 1-3 (ხეც A-40, 1r-4r).

<sup>67</sup> Simelidis, “Two Lives”, p. 153, n. 196.

<sup>68</sup> Esbroeck (ed.), *Vie de la Vierge*, p. 78 (ხეც A-40, 123v-124r).

ზემოთმოყვანილი ციტატა გადმოიწერა სვიმეონ მეტაფრასტისაგან.<sup>69</sup> ამ ორ მონაკვეთთან მიმართებით ის ხედავს ეფთვიმეს არათანმიმდევრულ დამოკიდებულებას საკითხისადმი და გვეუბნება, რომ „*მართალია, ეფთვიმე თეორიულად ეწინააღმდეგებოდა აპოკრიფების გამოყენებას, მაგრამ რეალურად რამდენიმე მათგანი თარგმნა კიდეც. კიდეც უფრო მეტი, ქართულ ცხოვრებაში არის ადვილები, სადაც ის გამოდის აპოკრიფებიდან, მაშინ, როდესაც გეომეტრის ორიგინალში მათი კვადრატ კი არ არის*“.<sup>70</sup> პირველ შემთხვევაში, სიმელიდისის აზრით, ეფთვიმემ თვითონ შეიტანა ეს აპოკრიფული ტექსტი თომას სახარებიდან ქართულ თარგმანში (რადგან ის არ არის გეომეტრთან), ხოლო მეორე შემთხვევაში, რადგან ის თარგმნიდა გეომეტრის ტექსტს, რომელშიც დაგმობილია ამ აპოკრიფული წიგნის გამოყენება, გვერდი ვერ აუარა ამ პასაჟს და საგრძნობლად შეცვალა და გაავრცო ის.

ვფიქრობთ, არ არის ადვილი, დაეთანხმო სიმელიდისის დასკვნას, რადგან, თუ ეფთვიმე ასე თავისუფლად ექცევა სათარგმნ წყაროს, მისთვის, ალბათ, უფრო მარტივი იქნებოდა გეომეტრის ამ პასაჟის ამოღება ტექსტიდან და არა ნოსელის ციტატის ჩართვა და მკითხველისათვის საბაბის მიცემა, რომ იგი არათანმიმდევრულობაში დაედანაშაულებინა.

გავაგრძელებთ ამ ტექსტის (ქართული თარგმანისა და გეომეტრის თხზულების) განხილვას სიმელიდისის მსჯელობაზე დაყრდნობით:

შესადარებელი მონაკვეთები განსხვავდება ერთმანეთისაგან მოცულობით. სიმელიდისი ეფთვიმეს ტექსტის გავრცობას ხსნის ბიბლიური ციტატების ჩართვით.<sup>71</sup>

ვფიქრობთ, ამ მონაკვეთების შედარებისას, არსებითია, დავაკვირდეთ, თუ რამდენად ორგანულია ბიბლიური ციტატების სრული სახით მოტანა ნაშრომის სტრუქტურისათვის (ამ ციტატების პარაფრაზი გეომეტრთანაც არის). ჩვენი აზრით, ეს ციტატები ეფთვიმესეულ ქართულ თარგმანს უფრო სრულყოფილად და თხრობას გაცილებით თანმიმდევრულად წარმოაჩენს, ვიდრე ეს არის გეომეტრის ტექსტში, კერძოდ: სანამ ქართულ თარგმანში ქრისტეს ყრმობის შესახებ წიგნის უარყოფაზე იწყება საუბარი, ტექსტის ავტორი იშველიებს წმიდა წერილს და გვეუბნება, რომ „*იესუ წარემადგებოდა სიბრძნითა და პასაკითა და მადრითა წინაშე ღმრთისა და კაცთა*“ (ლუკ. 2, 52); თხრობას ორგანულად აგრძელებს ამ აპოკრიფის გრიგოლ ნოსელისეული ზემოთ მოტანილი შეფასება, რაც ლუკას სახარებიდან მოტანილი

<sup>69</sup> Simelidis, “Two Lives”, p. 154, n. 202.

<sup>70</sup> იქვე, გვ. 154, შენ. 199, 200.

<sup>71</sup> იქვე, გვ. 154, შენ. 198.

ამონარიდის ლოგიკური გაგრძელებაა. ავტორს სურს, კიდევ უფრო მეტად დაარწმუნოს მკითხველი ამ აპოკრიფის წარმოდგენილ შეფასებაში და იმეორებს ზემოთ მოხმობილ სიტყვებს სახარებიდან (თვითონვე ადასტურებს, რომ კიდევ ერთხელ მოაქვს ეს ადგილი წინა ნათქვამის გასამყარებლად) და, ამჯერად, უკვე დამატებითი მსჯელობით ავრცობს ამ ჭეშმარიტებას, ამასთან, მეტი სისრულისათვის, ჩართავს ფსალმუნიდან შემდეგ სიტყვებს: „*იყო სიკეთითა უფროდს ძეთა კაცთადასა*“ (ფს. 44, 3).

რაც შეეხება იოანე გეომეტრის ტექსტს, ნაცვლად ქართულ თარგმანში მოტანილი ადგილებისა ლუკას სახარებიდან და შემდეგ მსჯელობისა, რომ იმ წიგნში (თომას სახარებაში) გადმოცემული ამბები წინააღმდეგობაში მოდის წმიდა წერილის ზოგიერთ დამოწმებასთან, არის ზოგადი მინიშნება, კერძოდ, ის, რომ რაც „*სახარებაშია, ის ... პოროფხედოვნებით არის გადმოცემული ჭეშმარიტების საპირისპიროდ*“. ამის შემდეგ, სახარებაზე დაყრდნობით და მისი პარაფრაზით, იწყება გეომეტრის მიერ ქრისტეს დახასიათება და მასში ჩართულია კონტექსტისათვის რამდენადმე გაუგებარი მინიშნება ქრისტესა და მისი დედის, მარიამის, მსგავსების შესახებ (ანუ ხაზი აქვს გასული ქრისტეს კაცობრივ ბუნებას: „... და რომ დედის მსგავსია და აგებულება მისი სასიამოვნო“). სახარებისეული ტექსტის (ლუკა 2, 52) გეომეტრისეული პარაფრაზი, ვფიქრობთ, არცთუ ზუსტად გადმოსცემს მახარებლის ნათქვამს, კერძოდ: „... როგორც სხვა ყველაფერში, მისი საზღვრები და აზროვნება კაცობრივ მეტყველებასა და განწესებაში, მართალია, ადამიანურზე აღმატებულია, მაგრამ მისი სიმდაბლე ადამიანურთან შესაბამისია“.<sup>72</sup>

გარკვეული კუთხით, პარალელი იესოსი დედასთან, ღვთისმშობელთან, ასევე, საზგასმა ქრისტეს „ადამიანურთან“ შესატყვის „სიმდაბლეზე“ (ანუ თავმდაბლობაზე), ამ მონაკვეთში არა სახარებისეული, არამედ გეომეტრისეული ჩანართი ჩანს.

ამ ორი მონაკვეთის განხილვის შედეგადაც ჩვენ კვლავ გვრჩება შთაბეჭდილება, რომ იოანე გეომეტრისა და ეფთვიმეს განხილული ტექსტები ერთი საერთო წყაროდან მომდინარეობს (უფრო ზუსტად: ერთ-ერთი წყარო მათ საერთო ექნებოდათ). ამასთან, ვფიქრობთ, ეფთვიმე უფრო დამოკიდებულია იმ საერთო წყაროზე და მეტი თანმიმდევრულობით იყენებს მას, ვიდრე გეომეტრი, რაც იმას ნიშნავს, რომ წყაროსთან მიმართებით ცვლილებების უმეტესობა ტექსტში სწორედ გეომეტრმა

---

<sup>72</sup> Simelidis, “Two Lives”, p. 154.

## შეიტანა და არა ეფთვიმემ.

ქართული თარგმანის ბერძნული წყაროს შესახებ ქრისტოს სიმელიდისეული ვერსიის მიმართ დამოკიდებულებას გამოვთქვამდით სტატიის მანძილზე. მკითხველისათვის სურათი სრულად რომ გამოიკვეთოს, მოკლედ მოვუყვრით თავს ჩვენეულ შეფასებებსა და არგუმენტებს:

პირველ რიგში, პასუხი უნდა გაეცეს კითხვას, თუ რამდენად მართებულია, დაისვას **საკითხი ერთი ტექსტის მეორედან მომდინარეობის შესახებ მაშინ, როდესაც განსახილველი ტექსტები მკვლევრის მიერ კომპილაციურ თხზულებებად არის მიჩნეული და, ამასთან, შედარება იმ დონეზე წარიმართოს, როგორც ეს ქრისტოს სიმელიდისმა აწარმოა?**

ქრისტოს სიმელიდისი შექმნილი უხერხულობიდან ასეთ გამოსავალს გვთავაზობს: „*თუ გავითვადისწინებთ ქრისტოიანურ დიფერაფურედ ცრადიციაში მისი ავტორისეული მონანიღებობისა და მოქმედების აშკარა აღიარებას, ისევე, როგორც მისი წამყვანი მწერის სფაფუსს, გონივრული იქნება, ვივარაუდოთ, რომ გეომეტრის „ღვთისმშობლის ცხოვრება“ იყო მისი საკუთარი თხზულება, იყენებდა და ამუშავებდა რა მრავად წყაროს შემოქმედებითი გზით*“.<sup>73</sup> ვფიქრობთ, ეს განმარტება, შესაძლებელია, გამოდგეს გეომეტრის ავტორობის ნაწილობრივი დასაბუთებისათვის, მაგრამ არა იმისათვის, რაზეც, ამ შემთხვევაში, ჩვენ აქცენტს ვაკეთებთ. განვმარტავთ ნათქვამს:

ბერძენი მკვლევრისათვის ქართული თარგმანიც ისეთივე შედგენილი ტექსტია, როგორც იოანე გეომეტრის თხზულება. ჩვენ შეიძლება არ დავეთანხმოთ მას ეფთვიმეს თარგმანთან მიმართებით: ამ საკითხს ჯერ კიდევ კვლევა და ჩალრმავება სჭირდება,<sup>74</sup> მაგრამ თუნდაც მხოლოდ იოანე გეომეტრის თხზულება იყოს კომპილაციურად მიჩნეული, ვფიქრობთ, **შედარება ამ ტექსტებს შორის სხვა სიბრტყეზე უნდა ჩატარდეს, კერძოდ: გამოიყოს, მინიშნების დონეზე მაინც, გეომეტრის ტექსტში გამოყენებული ყველა წყარო, ამასთან – ის მონაკვეთებიც, რომლებსაც სიმელიდისი გეომეტრის ორიგინალურ ჩანართებად მიიჩნევს, და დადგინდეს, არის თუ არა ისინი გადასული ან რაიმე სახით ასახული ქართულ თარგმანში. ეს საკითხი ჯერ კიდევ შესასწავლია.**

ზემოთ, მასხალის განხილვის კვალდაკვალ, აღვნიშნავდით, რომ ქრისტოს სიმელიდისი, ერთი მხრივ, ამტკიცებს ეფთვიმეს მიერ იოანე გეომეტრის თხზულების თარგმნას, მაგრამ **ალაგ-ალაგ, გამოსავლის არქონის გამო, დასაშვებად მიიჩნევს, ისაუბროს ამ ორი თხზულების**

<sup>73</sup> Simelidis, “Two Lives”, p. 128.

<sup>74</sup> ამის შესახებ იხ. აქვე, შენ. 49.

**საერთო წყაროს შესახებ.** კვლავ დავიმოწმებთ ერთ-ერთ ასეთ ადგილს: „...მარცო ეს ნიმუში, რომელიც აჩვენებს უკიდურესად მჭიდრო მსგავსებას **გარკვეული ვარიაციის პარადიგმად**, ეჭვს არ ცოვებს, რომ ორივე ცექსცი ან იმეორებს დაკარგულ მოდელს, ან ერთი მათგანი იმეორებს მეორეს“.

სიმელიდისის წინააღმდეგობრივი პოზიციის უკეთ გამოსაკვეთად, მოვიტანთ ზემოთ ჩვენ მიერ უკვე მოხმობილ ადგილს მისი სტატიიდან, სადაც ბერძენი მკვლევარი საუბრობს ქართული თარგმანის უკვე პირდაპირ მომდინარეობაზე გეომეტრის თხზულებიდან: ის არ იზიარებს მ. ვან ესბროკის აზრს, რომ „*იოანე გეომეტრმა გადააკეთა ცექსცი, რომელიც ექვთიმემ თარგმნა ქართულად*“, რადგან, მისი აზრით, „*არ არსებობს საფუძველი, ზოგადად, ასეთი ცექსცის არსებობის დაშვებისა: ქართულ თარგმანს ვერ მივიღებთ ამის მტკიცებულებად, რადგან მის უკან მდგომი ბერძნული ცექსცი არის გეომეტრის „ღვთისმშობლის ცხოვრება“*“.<sup>75</sup>

როგორ შევუთავსოთ სიმელიდისის მიერ გამოთქმული ეს ორი ვერსია ერთმანეთს? ის თვითონაც გრძნობს ამ უხერხულობას და თავისი კვლევის დასკვნით ნაწილში, მართალია, არ შეაქვს ეჭვი იმაში, რასაც ამტკიცებს მთელი სტატიის მანძილზე, კერძოდ, რომ ეფთვიმე ათონელმა თარგმნა იოანე გეომეტრის „ღვთისმშობლის ცხოვრება“, მაგრამ საბოლოო ფორმულირებაში მაინც აღნიშნავს, რომ „*მართალია, ყოველთვის ვერ ხერხდება იმის ახსნა, თუ რაგომ შეიძენა ეფთვიმემ ესა თუ ის ცვლილება გეომეტრის ცექსციში, მაგრამ ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება გაგებული, თუ ქართული თარგმანი განხილული იქნება როგორც გეომეტრის ღვთისმშობლის ცხოვრების ეფთვიმესეული ვერსია*“.<sup>76</sup> რაც შეეხება გეომეტრის ტექსტს, სიმელიდისის აზრით, „*ეს არის ადრინდელი წყაროების სინთეზი, რომელიც წარმოადგენს ყოვლისმომცვედ ანგარიშს ყოვლადწმიდა ქაღწულის ცხოვრებისა, შექმნილს ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი ბიზანციური მწერლის და ღვთისმშობლის მიმართ ერთ-ერთი ყველაზე გულწრფელად ერთგული ადამიანის მიერ*“.<sup>76</sup>

ჩვენ შევეცადეთ, გაგვეანალიზებინა ის მაგალითები, რომლებიც ქრისტოს სიმელიდისს მოჰყავს ამ ვარაუდის სასარგებლოდ. ვერც ამ შემთხვევაში გამოიკვეთა ბოლომდე დამაჯერებელი სურათი, **რათა ეფთვიმეს თარგმანი გეომეტრის თხზულების ვერსიად იქნეს მიჩნეული:** ბერძენი მკვლევრის არგუმენტები ამ მიმართულებით, ძირითადად, ეფუძნება ეფთვიმე ათონელის მთარგმნელობით მეთოდს, რომელიც იმავე წარმატებით შეიძლება მივუსადაგოთ ნებისმიერ სხვა წყაროს (მათ შორის,

<sup>75</sup> Simelidis, “Two Lives”, p. 127.

<sup>76</sup> იქვე, გვ. 159.

რასაკვირველია, მაქსიმე აღმსარებლის ჰიპოთეტურ თხზულებასაც), რომელიც შეეძლო გამოეყენებინა ეფთვიმეს. კიდევ უფრო მეტი: ზოგიერთ შემთხვევაში, მიშელ ვან ესბროკი სიმელიდის მიერ მოტანილ მაგალითებს საპირისპირო მიმართულებას აძლევს და იყენებს იმის დასამტკიცებლად, რომ იოანე გეომეტრის ტექსტმა შემოინახა ეფთვიმეს მიერ მაქსიმეს თხზულებიდან გარკვეული მოსაზრებით ამოღებული მონაკვეთები – ეს კი გეომეტრის მიერ ამ თხზულების (ანუ მაქსიმეს ტექსტის), როგორც ერთ-ერთი წყაროს, გამოყენებაზე მიუთითებს.

დასკვნის სახით ვიტყვით, რომ, მართალია, კავშირი ეფთვიმე ათინელის „ღვთისმშობლის ცხოვრების“ ქართულ თარგმანსა და იოანე გეომეტრის თხზულებას შორის უცილობლად არსებობს, მაგრამ ეს კავშირი ძნელად აიხსნება ერთის მეორიდან მომდინარეობით: საუკეთესო შემთხვევაში, ვფიქრობთ, შესაძლოა, დადგინდეს საერთო წყარო საკვლევი ტექსტებისათვის, იქნება ეს მაქსიმე აღმსარებლის ჰიპოთეტური თხზულება, თუ ერთი ან რამდენიმე დღევანდლამდე ვერმოდლწეული ან ჯერ კიდევ ვერმიკვლეული ბერძნული ტექსტი. ამდენად, კვლევას ეფთვიმე ათინელის მიერ თარგმნილი „ღვთისმშობლის ცხოვრების“ ბერძნული წყაროს შესახებ დღესდღეობით დასრულებულად ვერ მივიჩნევთ.

## ბიბლიოგრაფია

**აკაკლიძე, ეფიუდები**, V = კ. აკაკლიძე, *ეფიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან*, V, თბილისი, 1957.

**აკაკლიძე, ძველი ქართული ლიტერატურის** = კ. აკაკლიძე, *ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია*, ტ. I, თბილისი, 1980.

**კოჭლამაზაშვილი, „წმ. მაქსიმე აღმსარებლის სახელით“** = ე. კოჭლამაზაშვილი, „წმ. მაქსიმე აღმსარებლის სახელით წარწერილი ტრაქტატი ‘სიტყვსგებისათვის ვნებათაფსა’ და მისი ეფთვიმე მთაწმიდელისეული თარგმანი“, *ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძიებანი*, XI (2019) [2020], გვ. 9-68.

**მელიქიშვილი, „რამდენიმე დაკვირვება“** = ნ. მელიქიშვილი, „რამდენიმე დაკვირვება ეფთვიმე ათინელისა და ეფრემ მცირის მთარგმნელობით მეთოდზე“, *მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია*, 4 (1987), გვ. 118-129.

**ტყეპუჩავა, „წმინდა მაქსიმე აღმსარებლის სახელით“** = ლ. ტყეპუჩავა, „წმინდა მაქსიმე აღმსარებლის სახელით ცნობილი ასკეტური ძეგლი ‘სიტყვსგებისათვის ვნებათაფსა’ და მისი ექვთიმე ათინელისეული თარგმანი“, *მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი*, 26 (2019), გვ. 127-138.

**ტყეპუჩავა, „წმ. ექვთიმე ათინელის მიერ თარგმნილი“** = ლ. ტყეპუჩავა, „წმ. ექვთიმე

ათონელის მიერ თარგმნილი კომპლაცირი შრომა ‘სწავლანი სულიერნი წმიდისა მაქსიმე აღმსარებელისანი’, *გრავნილი, საეკლესიო-სამეცნიერო კრებული*, IX (2022), გვ. 191-224.

**ხოფერია**, „მაქსიმე აღმსარებლის ცხოვრების“ = ლ. ხოფერია, „მაქსიმე აღმსარებლის ცხოვრების“ ეფთვიმე ათონელისეული თარგმანი და მისი მიმართება ბერძნულ წყაროებთან“, *მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი*, XXI (2005), გვ. 52-62.

**Chantladze**, “Euthymius the Athonite’s Translation” = A. Chantladze, “Euthymius the Athonite’s Translation of Maximus the Confessor’s Quaestiones ad Thalassium”, *Maximus the Confessor and Georgia (Iberica Caucasia, vol. III)*, T. Mgaloblishvili – L. Khoperia (eds.), 2009, pp. 49-59.

**Esbroeck (ed.)**, *Vie de la Vierge* = Maxime Le Confesseur, *Vie de la Vierge*, M. Van Esbroeck (ed.) (Scriptores Iberici, t. 21), Lovanii, 1986.

**Esbroeck**, *Vie de la Vierge* = Maxime Le Confesseur, *Vie de la Vierge*, traduite par M. Van Esbroeck (Scriptores Iberici, t. 22), Lovanii, 1986.

**John Geometres**, *Life of the Virgin Mary* = John Geometres, *Life of the Virgin Mary*, M. Constan – J. Simelidis (ed.) (Dumbarton Oaks Medieval Library, 77), Cambridge, Massachusetts: Harvard University Press, 2023.

**Otkhmezouri**, “Maximus the Confessor’s” = Th. Otkhmezouri, “Maximus the Confessor’s Ambigua ad Iohannem within the Georgian Translation Tradition”, *Maximus the Confessor and Georgia (Iberica Caucasia, vol. III)*, T. Mgaloblishvili – L. Khoperia (eds.), 2009, pp. 74-83.

**Otkhmezuri (ed.)**, *Medieval Georgian Literary* = Th. Otkhmezuri, M. Raphava, “Mt Athos”, *Medieval Georgian Literary Culture and Book Production in the Christian Middle East and Byzantium*, Th. Otkhmezuri (ed.) (Jerusalem Theologisches Forum, 42), Münster, Aschendorff Verlag, 2022.

**Simelidis**, “Two Lives” = Ch. Simelidis, “Two Lives of the Virgin – John Geometres, Euthymios the Athonite, and Maximos the Confessor”, *Dumbarton Oaks Papers*, vol. 74 (2020), p. 125-159.

კორნელი კეკელიძის სახელობის  
საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი  
ninomelikishvili@hotmail.com

**ON THE GREEK SOURCE OF THE GEORGIAN  
TRANSLATION OF THE “LIFE OF THE VIRGIN MARY” BY  
ST. EUTHYMIUS THE HAGIORITE**

**(Based on the Research of Michel van Esbroek and Christos  
Simelidis)**

SUMMARY

This article examines two perspectives on the now-lost Greek source of the Georgian translation of the *Life of the Virgin* by Euthymius the Hagiorite. The discussion is based on the research conducted by Michel van Esbroek, who published the Georgian translation, and Christos Simelidis, who edited the Greek text of *Life of the Virgin* by the 10<sup>th</sup>-century Byzantine writer John the Geometres.

Many scholars consider the attribution of the work to St. Maximus the Confessor, as stated in the title of the Georgian translation by Euthymius, to be unreliable. Christos Simelidis, drawing on prior research and his own analysis, argues that the similarities between the Georgian translation and the *Life of the Virgin* by John the Geometres indicate that the Georgian version is derived from Geometres' work. Comparing these two texts, he attributes the differences between them solely to the translation method of Euthymius the Hagiorite.

The author of this article, however, argues that since John the Geometres' work is a compilation, a simple comparison of the two texts is insufficient for establishing their interrelationship. Instead, a thorough study of Geometres' sources and original thought is necessary to determine the extent to which these elements are reflected in Euthymius' Georgian translation.

Simelidis' explanation— attributing all textual differences exclusively to Euthymius' translation technique— is not entirely convincing. The author suggests that an opposite conclusion is also possible: Euthymius could have applied his translation method not only to John the Geometres' text but also to a work by Maximus the Confessor. According to Michel van Esbroek, certain passages in Geometres' text, which he identifies as unquestionably originating from Maximus, are intentionally omitted in Euthymius' translation. These omissions, van Esbroek argues, suggest that Geometres' work was influenced by a hypothetical Greek text by Maximus or another source that Euthymius also used.

Further complicating the analysis is the fact that Simelidis, lacking knowledge of the Georgian language, relies on Stephen Shoemaker's English translation for comparison. The author of this article highlights instances where the English translation inaccurately or incompletely represents the Georgian text, leading to

unconvincing and imprecise assessments by Simelidis.

The article also questions whether it is appropriate to discuss the “less elevated prose style” of Euthymius the Hagiorite based on the English translation—one of Simelidis’ key arguments for asserting that the Georgian translation derives from Geometres’ text.

Based on the research of Simelidis and van Esbroek, as well as the author’s own observations, this article concludes that the Greek source of Euthymius the Hagiorite’s Georgian *Life of the Virgin* remains unresolved. Further research is necessary in multiple directions, some of which are suggested within the article. It remains possible that Euthymius, great translator and thinker, did not translate a lost Greek work by Maximus the Confessor but rather another, likewise untraceable, Greek text. Alternatively, he may have compiled his translation using texts from various Greek authors, incorporating his own interpretative contributions—just as John the Geometres did in his own work. It is likely that one or more of these Greek sources were shared between Euthymius and Geometres, which would explain the connection between their texts.

Korneli Kekelidze Georgian National  
Centre of Manuscripts  
ninomelikishvili@hotmail.com

**Nino Melikishvili**